საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკიდურესობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 2 თებერვალი. 2018 წ. №22 (8423), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საკუთარ ფულად!

„ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება“.

ვაჟა-ფშაველა

რადიკალური მოძრაობა და ინტელიგენცია ②

შეწყალების წესი იცვლება

პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეწყალების წესი უფრო ჰუმანური ხდება და მასში ცვლილებები შედის. ამის შესახებ შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ **ზვიად ქორიძემ** გუშინ განაცხადა. კერძოდ, ცვლილება შეეხება ნარკოტიკული და სამოხელეო/ეკონომიკური დანაშაულებისთვის გასამართლებულ პირებს.

„შეწყალების კომისიამ სასჯელის ვადის კრიტერიუმების გარეშე უნდა განიხილოს იმ მსჯავრდებულთა თხოვნა, რომლებმაც ჩაიდინეს ნარკოტიკული დანაშაულები, გარდა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გასაღებისა, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვისა და მათი შემოტანა-ტრანზიტისა.

შეწყალების კომისიამ ასევე, არსებითად უნდა განიხილოს იმ პირთა შეწყალების თხოვნა, რომლებიც გასამართლებულები არიან 381-ე მუხლით და მათ სასჯელი დაეკისრათ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის საფუძველზე“, — თქვა ზვიად ქორიძემ და დასძინა, **„ის, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით შეწყალების მექანიზმში არის ჰუმანური მიდგომა, ეს არის, რა თქმა უნდა, გამოწვეული იმ საზოგადოებრივი პროცესებისგან, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში“.** ქორიძის განმარტებით, ასეთივე წესით კომისიამ უნდა განიხილოს იმ პირის თხოვნა შეწყალების თაობაზე, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ.

იუსტიციის მინისტრი პოლიციელებს ახალ მაკონტროლებელს უნიშნავს! ④

ვაძეგ ჭკუასა ბრძენთასა...

ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი ⑥



სიკვდილის სათამაშო, ანუ ტყლარწი ⑪

გაზეთის, მეცნიერებისა და მთავრობის თანადგომით

2018 წლის 6 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი ნარკოტიკების მომხმარებელთა შეწყალებისა და რეაბილიტაციური სამკურნალო ცენტრების შექმნის შესახებ. როგორც ჩანს, ამ წერილმა გამოხმაურება პოვა ჟურნალისტებს შორის და ტელევიზიით ვიხილე, როგორი აქტიურობით ახდენდნენ მოსახლეობის გამოკითხვას შეკითხვით, შეეწყალებინა თუ არა პრეზიდენტს ნარკოტიკების მოხმარებისთვის მსჯავრდებული ასეულობით პატიმარი. მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. ძალზე გამიხარდა, რომ ამ წერილს პრეზიდენტის გამოხმაურებაც მოჰყვა. გუშინ ტელევიზიით მოვისმინე შეწყალების კომისიის თავმჯდომარის, ბატონი ზვიად ქორიძის განცხადება პრეზიდენტის მიერ ნარკოტიკების მომხმარებელთა შეწყალების შესახებ. ეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამარჯვებად უნდა მივიჩნიო და, ვფიქრობ, რომ მომავალში მეცნიერების მიერ საზოგადოებრივ პრობლემებთან დაკავშირებით გამოქვენებული წერილები მთავრობისა და პრეზიდენტის ყურადღების ცენტრში მოექცევა.

ნუგზარ ალექსიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი.

ზურგით დაჭერილი ქარი



თამაზ ქვლივიძე: ღვინის ქვეყანა ღირსია ედემის დარად ყვაოდეს!.. ⑤

17 წლის ბიჭმა სამი ყოფილი თანაკლასელი დაჭრა

არასრულწლოვნების დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გაიხსნა

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ა.ნ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 31 იანვარს თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირზე, ე.წ. წითელი ბაღის ტერიტორიაზე, ა.ნ.-მ ურთიერთშელაპარაკებისას ყოფილ თანაკლასელებს — 2000 წელს დაბადებულ ნ.ც.-ს და 2000 წელს დაბადებულ ი.ც.-ს ცივი იარაღით მუცლისა და გულმკერდის არეში თითო ჭრილობა, ხოლო 2000 წელს დაბადებულ ლ.ხ.-ს ხელზე მსუბუქი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამივე დაჭრილი არასრულწლოვანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ა.ნ., ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლით“, — აცხადებენ უწყებაში.

რადიკალური მოძრაობა და ინტელიგენცია

„ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება“.

ვაჟა-ფშაველა

აყვავებული საქართველოს სსრ-ის საბჭოთა კავშირის ნანგრევებში მოყოლის, მისი სამ ნაწილად დაშლისა და იქიდან დღემდე ვერგამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ქართველ ინტელიგენციას პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის საშუალება არ მიეცა და არ ეძლევა. ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამზრახველებმა „თავიანთი“ რადიკალური (და არა ეროვნული) მოძრაობა ეროვნული ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყეს. აკაკი ბაქრაძეს, ვალერიან ადვაძეს, მერაბ მამარდაშვილს, თვით ზურაბ ჭავჭავაძესა და სხვა ქართველ ინტელექტუალებს, რომლებიც საიდანღაც გამოჩხრეკილი „არაფორმალების“ (დღევანდელი ტერმინოლოგიით „არასამთავრობოების“) ეთნოკონფლიქტების გამღვივებელ რიტორიკას და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის ქუჩიდან მოთხოვნას (კონსტიტუციით ეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოთხოვნით უნდა მომხდარიყო) ნაადრევად და პროვოკაციულად მიიჩნევდნენ, „კრემლის აგენტის“ იარლიყებს აკრავდნენ, მიკროფონს ხელიდან სტაცებდნენ და ტრიბუნიდან აგდებდნენ. ინტელიგენციის პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოსაშორებლად განსაკუთრებით აქტიურობდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გააძლიერა ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა. მისი შვიდთვიანი ხელისუფლება ფაქტობრივად ამ ბრძოლას გადაჰყვა.

ნათქვამია, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, და ინტელიგენციის გზიდან ჩამოშორება ნახევარი იყო იმ საქმისა, რასაც 9 აპრილის ტრაგედიის მოწყობა, ქვეყნის სამ ნაწილად დაშლა, რუსეთზე აწყობილი ეკონომიკის მოშლა, დარჩენილი საქართველოს მოსახლეობის ნაწილის – დევნილად, ნაწილის – გადახვეწილად, მთლიანად – მათხოვრად, დემოგრაფიულად – კატასტროფის წინაშე დგომად და მომაკვდავ ერთა სიაში შეყვანა ჰქვია, და რაც ვერ განხორციელდებოდა ქართველი ინტელიგენციის გზიდან ჩამოუცილებლად.

ცხადია, არც ინტელიგენცია იყო ერთგვაროვანი და სრულყოფილი, რადგან ბევრი მისი წარმომადგენელი ილიასებურად ვერ აცნობიერებდა საქართველოსათვის რუსეთთან კავშირის მნიშვნელობას და ლელთ ღუნიასავით „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნების“ გულუბრყვილო სურვილს შეეპყრო. ამ სურვილის გამოხატულება გახლდათ რადიკალი ლიდერების (გულწრფელების, თუმცა იქ არაგულწრფელებიც ერივნენ) პატრიოტული აღტყინებაც, რაც ფაქტობრივად ინტელიგენციის გულში ჩაუმქრალი პატრიოტული ნაღვერდალის გაღვივებას წარმოადგენდა. ამიტომ ამბობენ: ცეცხლი უკვამლოდ არ იქნებაო. ან კიდევ: პირველ სცენაში რომ თოფი ჰკიდია კედელზე, ბოლო სცენაში აუცილებლად გაისვრისო. და გაისროლა კიდეც: 9 აპრილის ტრაგედია!

იმავე აკაკი ბაქრაძემ, რომელიც თითქოს ეწინააღმდეგებოდა ლიდერთა რადიკალიზმს, ნაცვლად იმისა, რომ დაეგმო მათ მიერ გამოწვეული სისხლისღვრა, დამოუკიდებლობა მიულოცა ქართველ ერს, რაც მათი „ღვაწლის“ აღიარებას ნიშნავდა. აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ 9 აპრილის ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე მსჯელობისას მოსკოვში მჭევრმეტყველურად დაგმო სისხლისღვრის ჩამდენი რუსი ჯარისკაცების მოქმედება, სისხლისღვრის გამომწვევ ქართველ რადიკალებზე არაფერი უთქვამს. პროფესორი თამაზ ბუაჩიძე, საქართველოს დამოუკიდებლობას რომ უკვე მომხდარ ფაქტად თვლიდა, აფხაზეთის გამო ეკამათებოდა გორბაჩოვს, эта-же наша земля-ო, რაზეც მან მუქარით უპასუხა: Не только земля но и воздух не ваши-ო... ცხადი იყო: ანტირუსულად მარტო რადიკალები არ ყოფილან განწყობილი, ქართველ ინტელიგენციაშიც იგივე ანტირუსული სულისკვეთება სუფევდა. და რუსებიც იძულებული გახდნენ, აფხაზებზე და ოსებზე აეღოთ ორიენტაცია...

აფხაზები ადრეც „ხტუნაობდნენ“ ხოლმე და როცა 70-იან წლებში, მორიგჯერ ახტნენ, ბრეჟნევმა კომისია გაგზავნა სოხუმში, გაიგეთ, რა უნდათო. როდესაც მოახსენეს, С Краснодаром хотят соединиться-о, დამცინავად იკითხა: А Красноярском не хотять?-ო. ეგ იყო და ეგ, „გარდაქმნამდე“ აფხაზებს კრინტი აღარ დაუძრავთ.

ისტორიის ქართველი გამყალბებლები გაჰყვირიან, საქართველო 200 წელი რუსეთის კოლონია იყოო. ექსპერტი ვაჟა ბერიძე სწორად ამბობს: „ბოლოს და ბოლოს, რუსეთის იმპერიის წიაღში ფენიქსისებრ აღგვიდგენია საქართველო, როცა იგი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა და ქართლ-კახეთის სამეფოდ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში“. თუმცა ბოლოში ისიც ურევს: „რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს გეოსტრატეგიული მიმართულების, ევროატლანტიკური კურსის შეცვლას, მაგრამ, თუ რუსეთი მოდის ურთიერთობაზე, დაველაპარაკოთ“ (სრ, 27.01.2018).

დასავლელი სოვეტოლოგები ალეკ ნოუვი, ჯ. ნიუთი და სხვები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის სიყვარულს ვერ დავწამებთ, იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ საბჭოთა რესპუბლიკები კოლონიები არ იყო: კოლონიებს, როგორც წესი, მეტროპოლიები ძარცვავენ, აქ კი მეტროპოლია იძარცვავს თავს რესპუბლიკების სასარგებლოდ, რომ ისინი ეკონომიკურად და კულტურულად ფეხზე დააყენოსო. ამის ცოცხალი მაგალითი გახლდათ რუსეთის რესპუბლიკასთან კავშირის წყალობით საქართველოს სსრ-ის არნახული აყვავება (იხ. ა. ათანელიშვილი. „სოვეტოლოგები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ“, თბილისი, 1991, გვ 38).

საკითხავია: ისტორიის ქართველ გამყალბებლებს დასავლელ სოვეტოლოგებზე მეტად სძულთ საბჭოთა კავშირი და რუსეთი?!

მაგრამ კრემლის მესვეურებისთვისაც უნდა გაგვეგო: მათ აღარ სურდათ ამდენი მუქთამჭამელი რესპუბლიკა სულ რუსეთის კმაყოფაზე ჰყოლოდათ და გადაწყვიტეს, დაეშალათ სსრკ და დამოუკიდებლობები დაერიგებინათ მათთვის. ამის გამო 9 აპრილის ხარაკირი ხომ არ უნდა მოგვეწყო საკუთარი თავისათვის?!

თუმცა ამას ვეღარ ვიტყვით ინტელიგენციაზე. გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია, რაგინდ არასრულყოფილი ყოფილიყო, უპასუხისმგებლო რადიკალებისაგან განსხვავებით, მაინც უფრო გაწონასწორებული და ფრთხილი გახლდათ და „არაფორმალურ“ თუ არასამთავრობო რადიკალებს რომ იგი პოლიტიკური პროცესებისაგან არ ჩამოეცილებინათ, არც 9 აპრილის ტრაგედია მოხდებოდა, არც 1991-1992 წლების ძმათამკვლელი ომი, არც ეთნოკონფლიქტები და საქართველო შედარებით უმტკივნეულოდ გამოვიდოდა საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან.

ა.ჰ. ჩეხოვიც ემდუროდა რუს ინტელიგენციას: „არა მჯერა ჩვენი ინტელიგენციისა, ფარისევლურის, ყალბის, ისტერიულის, უზრდელის, ზარმაცის, არა მჯერა. მაშინაც კი, როცა ის იტანჯება და ჩივის, რადგან მისი მჩაგვრელები მისივე წიაღიდან გამოდიან“. მაგრამ ხსნას ისევ ინტელიგენციაში ხედავდა: „ძალა და ხსნა ხალხისა მის ინტელიგენციაშია, მის იმ წარმომადგენლებში, ვინც პატიოსნად აზროვნებს, გრძნობს და შეუძლია მუშაობა“.

პირველი და მთავარი, რასაც არ დაუშვებდა ინტელიგენცია, ეს 9 აპრილის ტრაგედია იყო. ტრაგედია, რომელიც ქართველი ხალხის თავზე დატეხილი გაუთავებელი უბედურებების კასკადის კატალიზატორი და ჯაჭვის რგოლი გახდა. რა თქმა უნდა, 9 აპრილის ტრაგედიაც, ეთნოკონფლიქტების გაღვივებაც და საბჭოთა კავშირის დანგრევაც, თავისი „ეროვნული მოძრაობიანად“, – ზემოთ იყო დაგეგმილი და პროვოცირებული, მაგრამ თუ ვინმეს შეეძლო პროვოკაციების განეიტრალება, ეს ქართველი ინტელიგენცია გახლდათ.

აკაკი ბაქრაძის აზრით, „ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რომ ევოლუციის, თანდათანობის გზას დასდგომოდა, იგი ძმათა სისხლით არ შეიღებებოდა, ბუნებრივი განვითარების პროცესს გაჰყვებოდა. თავისუფლება, რომელიც ღმერთმა გვიბოძა, უცრემლოდ და უსისხლოდ დამკვიდრდებოდა საქართველოში, მაგრამ სულწასულობის გამო ქართველმა ხალხმა უარყო თანდათანობითობის გზა. უცბათ და ერთბაშად მოინდომა იმის მიღება, რის მოპოვებასაც დიდი მოთმინება, წესრიგი, შრომა, სიყვარული და გონიერება სჭირდებოდა“.

ვანო პავლიაშვილისა და ვიღაცების ილუზიით კი, „რომ არა ბორითის ტრაგედია, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ჩარხი უკუღმა არ დატრიალდებოდა და მხოლოდ 1991-1992 წლების ძმათამკვლელ ომს კი არა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვასაც გადავურჩებოდით“.

მაგრამ ბორითის ტრაგედია მომხდარი არ იყო, 9 აპრილის ტრაგედიას რომ ვერ გადავურჩით! მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდიასთან ერთად, გვერდით ედგა წერეთელს, როდესაც ამ უკანასკნელმა მიკროფონი გამოსტაცა ერის სულიერ მამას და სასიკვდილოდ გაწირა მცირეწლოვანი გოგონები, თვითონ კი, თავის გვერდითმდგომელებიანად, სისხლისღვრის დაწყებამდე, სადღაც გაუჩინარდა. საკმარისი იყო, მერაბ კოსტავას დაეტუქსა ირაკლი წერეთელი და ყურად ეღო პატრიარქის მოწოდება, გადასულიყვნენ ქაშუეთის ეკლესიის ეზოში და იქ გაეგრძელებინათ მიტინგი, რომ 9 აპრილის ტრაგედია არ მომხდარიყო. მან კი, პირიქით, იმ საბედისწერო წუთს „ისტორიის დიდებული წამი“ უწოდა, რითიც ხელი შეუწყო ტრაგედიის დადგომას.

ვიღაცები ცდილობენ ხოლმე, მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასაგან გაყონ, მაგრამ იგი თვითონ არ ყოფდა თავის თავს „ქრისტესმიერი ძმისაგან“. ცნობილი ფაქტია: ზურაბ ჭავჭავაძემ სთხოვა მერაბს, ზვიადს რაღაცები ეშლება და იქნებ თავი შორს დაიჭირო მისგანო, რაზეც მან უპასუხა: „მეგობრობა ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას!“

ზვიად გამსახურდიას გარეგოცვაში რომ არაერთი სუკის აგენტი იყო, ეს ყველაზე უკეთ რესპუბლიკის სუკ-ის შეფმა გივი გუმბარიძემ იცოდა. და როცა ვიღაც გულუბრყვილო ზვიადისტმა გუმბარიძეს მიახალა, შენ სუკის აგენტი ხარო, მან მშვიდად მიუგო: „სუკის აგენტები თქვენა ხართ, მე სუკის გენერალი ვარ“-ო.

ერთადერთი, რასაც ვერ წაართმევ მერაბ კოსტავას, ეს მისი უმწიკვლობაა. მაგრამ როგორც რადიკალი, იგი განუყოფელია არა მარტო ზვიად გამსახურდიასაგან, არამედ ირაკლი წერეთლისგანაც და გია ჭანტურიასგანაც. რადიკალიზმის ბოროტება კი უპირველესად ინტელიგენციის უგულებელყოფაში, მისთვის პირში ბურთის ჩაჩრაში და პოლიტიკური პროცესებიდან მის ჩამოცილებაში გამოიხატება. უინტელიგენციოდ კი არ არსებობს არა მარტო ეროვნული მოძრაობის გამარჯვება, არამედ თვით ეროვნული მოძრაობაც, რამდენადაც იგი სხვა არა არის რა, თუ არა ინტელიგენციის სულისკვეთება.

ამიტომ არავითარი ეროვნული მოძრაობა ეგ არ იყო; ეგ იყო რადიკალური მოძრაობა, მიმართული ერის ინტელიგენციის, როგორც ეროვნული სულისკვეთების გამომხატველის, წინააღმდეგ, გამიზნული და დაგეგმილი ქართველი ერის დასაშლელად და დასამარცხებლად. გამიზნული და დაგეგმილი კი იყო არა რადიკალური მოძრაობის „ლიდერების“ მიერ; ისინი ბრმა შემსრულებლები იყვნენ; არამედ მათ უკან მდგომი დამკვეთების მიერ, საქართველოს „პატარა იმპერიას“ და „უქართველებოდ კარგს“ რომ უწოდებდნენ, და მათი დიდი მარიონეტის მიერ, ვინც ამ დაშლითა და დამარცხებით, უნახავმა რა ნახაო და, უნახავი ხეირი ნახა.

პირველი მრავალათასიანი დემონსტრაციები გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ ინტელიგენციის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით გაიმართა, რასაც მხარი დაუჭირა თბილისის მოსახლეობის უმრავლე-

სობამ. გამსახურდიას ჩხოროწყუდან და დასავლეთ საქართველოს სხვა პროვინციებიდან ავტობუსებით ჩამოჰყავდა თავისი მომხრეები და უპირისპირებდა დემონსტრაციებში მონაწილე მოსახლეობის მიერ მხარდაჭერილ ინტელიგენციას. ინტელიგენციის წარმომადგენლები ტელევიზიის შენობაში გამაგრდნენ და მოითხოვდნენ გამსახურდიას გადადგომას. ამის შემდეგ, ხელისუფლებისაგან განდგომილი და თბილისის ზღვაზე დაბანაკებული კიტოვანი თავისი ტანკებით გვერდით დაუდგა ტელევიზიასთან შეკრებილ ინტელიგენციას, რომლის სახელით (და არა თანხმობით) დაბომბა პარლამენტი, დაამხო ხელისუფლება...

ომისშემდგომ წლებში, საბჭოთა ეკრანებზე გადიოდა ამერიკელი რეჟისორის ჯეკ კონვეის ცნობილი ფილმი „ვივა ვილა!“, „თავისუფლების არმიის კაპიტანი“-ს სახელწოდებით. იგი ეხებოდა ფრანსისკო მადეროს მიერ მექსიკის დიქტატორ პორფირიო დიასის წინააღმდეგ დაწყებულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. იგი მთავრდება მადეროს მხარდამჭერი ერთ-ერთი რაზმის კაპიტან პანჩო ვილას გამარჯვებით. რაზმელები ოვაციას უმართავენ თავიანთ კაპიტანს და მიესალმებიან როგორც ახალ მმართველს: „ვივა ვილაა!“ (გაუმარჯოს ვილას!). მაგრამ ვილა ხელის აწევით აჩერებს მათ და ამბობს: „არა! ვივა მადერო!“ (გაუმარჯოს მადეროს!).

აი, რის ნიჭი და პიროვნულობა არ აღმოაჩნდა თენგიზ კიტოვანს. მასაც რომ, პანჩო ვილას დარად, ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული ქართველი ინტელიგენციისათვის გადაეცა ძალაუფლება, ალბათ, შესაძლებელი გახდებოდა ქვეყნის ბევრად სწორი გზით წაყვანა.

ეს, რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნანგრევებში მოყოლისა და ქვეყნის სამ ნაწილად დაშლის მიზეზს. მაგრამ ნანგრევებიდან დღემდე ვერგამოსვლის მიზეზი ის არის, რომ ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგაც და გრძელდება დღესაც.

ინტელიგენციას გააფთრებით ებრძოდა მიხეილ სააკაშვილი, გამსახურდიასავით პირდაპირ და პრიმიტიულად: „ჩარეცხვით“... ინტელიგენციაგამოცლილი ხალხი კი უთავო ბრბოა, როგორც ინტელიგენციაგამოცლილი ხელისუფლება — აბსურდის თეატრი.

ინტელიგენცია მაშინ არის ინტელიგენცია, როცა ის მშიერია და ხალხის გვერდით დგას, როგორც ხალხი მაშინ არის ხალხი, როცა ინტელიგენცია გვერდით უდგას. უხალხო ინტელიგენცია უფარო მწყემსია, უინტელიგენციო ხალხი — უმწყემსო ფარა. ის ინტელიგენცია კი, რომელიც ხელისუფლების „ქველმოქმედებით“ არის გამაძღარი და მის მხარეს დგას, ინტელიგენცია აღარ არის და უბრალოდ ხელისუფლების დანამატია.

პარტიები, რომლებიც ხალხის ინტერესებს არ გამოხატავენ, ჩივიან, ხალხი სამზარეულოში ზის და დემონსტრაციებზე არ გამოდისო. აბა, ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები გამოვიდნენ, თუ სამზარეულოში ვინმე დარჩება! უბრალო ხალხს ადვილად არბევენ, მათ ვერ დაარბევენ.

ინტელიგენციის დარბევას ვერავინ გაბედავს!

და თუ მაინც გაბედავს, ისეთივე სასაცილო გახდება, როგორც სააკაშვილი და... სამუდამოდ მოიკვეთს ხალხი.

ომარ ხახაშვილი,
ბელგიიდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

დიმიტრი ქუმსიშვილი:
ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ახალ სტიმულს მისცემს

„მარტში დაგეგმილია ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, რომელიც ახალ სტიმულს მისცემს ჩვენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, რომელმაც ბელარუსში ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო საქართველო-ბელარუსის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მუშაობაში.

„ფაქტია, როდესაც 2015 წელს აღნიშნული ვიზიტი პირველად მოხდა საქართველოში, ჩვენს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა პრაქტიკულად გაორმაგდა. შესაბამისად, შემდგომში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, რაც შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს,“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ატენის ქუჩაზე შესაძლოა, კორპუსი აღარ აშენდეს!

თუ გამოიკვეთება რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც ნებართვის გაუქმების საფუძველს გააჩენს, ჩვენ ვიმსჯელებთ და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას — ეს განცხადება ატენის ქუ-

ჩაზე მშენებარე კორპუსთან დაკავშირებით მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ გააკეთა. ბირკაძე ამბობს, რომ მერიაში ადმინისტრაციული წარმოების წესით იხილავენ საქმეში არსებულ მასალებს და გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

„იანვარში დაინტერესებული პირების განცხადების საფუძველზე გაიცა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. 15 იანვრის ეს გადაწყვეტილება შემდეგ გასაჩივრდა დაინტერესებული პირების მიერ 22 იანვარს და შესაბამისად, ჩვენ ახლა ვართ იმ ეტაპზე, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების წესით ვიხილავთ ამ საქმეში არსებულ მასალებს. ამ წუთებშიც მიმდინარეობს საქმის განხილვა, შესაბამისად ჩვენი ვალდებულების შესაბამისად, შევისწავლით საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას, წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამის მიხედვით თბილისის მერია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას კანონდებლობით დადგებილ ფარგლებში. ნებართვა გაცემულია 2018 წლის 15 იანვარს, მშენებლობა არ შეჩერებულა. ამ ეტაპზე დაინტერესებული მხარის მიერ გასაჩივრებულიდან გამომდინარე ვსწავლობთ ფაქტობრივ გარემოებებს და თუ ვთქვათ, გამოიკვეთება რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც ნებართვის გაუქმების საფუძველს გააჩენს, ჩვენ ვიმსჯელებთ და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ არანაირი გარემოება არ გამოიკვეთება, ნებართვა დარჩება ძალაში“, — განაცხადა ბირკაძემ.

მიხეილ ჯანელიძე იენს სტოლტენბერგს შეხვდა

ნატო-საქართველოს კომისიის სხდომამდე საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ შეხვედრა გამართა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადებითად შეფასდა საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, მათ შორის საქართველოს მხრიდან 2017 წლის ეროვნული პროგრამის შესრულება, ქვეყანაში განხორციელებული დემოკრატიულ და თავდაცვის სფეროში რეფორმები. იმედი გამოითქვა, რომ საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნის პროგრესი სათანადო ასახვას ჰპოვებს ნატოს 2018 წლის სამიტზე.

შეხვედრაზე ნატოს გენერალურ მდივანს ინფორმაცია მიეწოდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შემქნილ მდგომარეობასა და ბოლო განვითარებებზე. გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს პოზიტიურ როლს რეგიონში, და იმ წვლილს, რომელიც საქართველს შეაქვს საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში. საუბარი შეეხო შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას და საქართველოს მონაწილეობას ალიანსის პრაქტიკულ ძალისხმევაში შავი ზღვის განმტკიცების მიმართულებით.

მამუკა ბახტაძე:
შევძლებთ მეტი ამერიკული ინვესტიციის მოზიდვას ქვეყნის ეკონომიკაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე აშშ-ის საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციის (OPIC) აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დირექტორს, კორპორაციის პრეზიდენტისა და აღმასრულებელი დირექტორის მთავარ მრჩეველს ჩარლზ მაკლაფლინს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, OPIC-ის დახმარებით საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, ასევე, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივა.

„20 წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციის დახმარებით, საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი ინვესტიციები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. აღსანიშნავია, რომ OPIC-ი აპირებს დაფინანსების პორტფელის გაზრდას საქართველოსთვის. ჩვენ ამერიკულ მხარეს გავაცანით ის რეფორმები, რომელიც განვახორციელეთ. ვისაუბრეთ ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აღნიშნული საინვესტიციო პოტენციალის ათვისების კუთხით OPIC-ის ჩართულობის საკითხებზე. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით მომავალში უფრო მეტი ამერიკული ინვესტიციის მოზიდვას შევძლებთ ქვეყნის ეკონომიკაში“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში დავით ბაქრაძე, ფინანსთა მინისტრის მოადგილეები გიორგი კაკაურიძე და ნიკოლოზ გაგუა.

საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაცია (OPIC) 1993 წლიდან ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოში.

ზურაბ პატარაძე ზემო აჭარაში უამინდობით გამოწვეულ მდგომარეობას გაეცნო

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში უამინდობით გამოწვეულ მდგომარეობას ეცნობა. რეგიონის პირველი პირი ქედაში, ბათუმი-ხულოს გზის დოლოგნის მონაკვეთზე განვითარებული მეწყრის შედეგებს მუნიციპალიტეტის მერთან და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად გაეცნო. ადგილზე დილიდანვე მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები, მუშაობენ გეოლოგები. ქედის მუნიციპალიტეტში მეწყერი 12 ადგილზე განვითარდა. ჩაიხერგა მოსახლეობასთან მისასვლელი და შიდა სასოფლო გზები. სამუშაოები დილიდანვე დაიწყო და უმეტესი ლოკაცია უკვე გაწმენდილია. გზები უწყვეტ რეჟიმში იწმინდება. ელექტროენერგიის მიწოდება უკვე აღდგენილია დანდალოს და ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში. სოფელ ნამონასტრევსა და სილიბაურში ენერგო-პრო ჯორჯიას ბრიგადები მობილიზებულია და მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

გუშინვე, ზურაბ პატარაძემ შუახევის მუნიციპალიტეტში, დაბის ცენტრში მიმდინარე გაწმენდითი სამუშაოები დაათვალიერა და იქ მყოფ მოსახლეობას გაესაუბრა.

შუახევის დაბალი ზონის სოფლებში თოვლის საფარი 20-40 სმ-ია, მაღალ ზონაში ერთ მეტრს გადააჭარბა. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის შუახევის მონაკვეთზე ტრანსპორტით გადაადგილება ამ დროისთვის თავისუფალია. მაღალი ზონის სოფლებში კი გადაადგილება შესაძლებელია მაღალი გამავლობის ტრანსპორტით.

იუსტიციის მინისტრი პოლიციელებს ახალ მაკონტროლებელს უნიშნავს!

პოლიციელთა გადაცდომების შესწავლის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იქმნება. სამსახურს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი უხელმძღვანელებს. ახალი საგამოძიებო უწყება პერსონალური მონაცემების გარდა, სწორედ პოლიციელთა გადაცდომებსაც შეისწავლის. საუბარია ისეთი ტიპის დანაშაულებზე, როგორიცაა: წამება, წამების მუქარა, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა. ინიციატივის მიხედვით, ცვლილებები 21 კანონში უნდა შევიდეს. სამსახურს პარლამენტი აკონტროლებს და მის ხელმძღვანელსაც საკანონმდებლო ორგანო 5 წლის ვადით ნიშნავს.

ინიციატივა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე წარმოადგინეს, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები; საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო მისიები; არასამთავრობო ორგანიზაციები; ექსპერტები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და სახალხო დამცველი. ინიციატივა კი იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** წარმოადგინა.

როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ მომზადებულ კანონპროექტშია ნათქვამი, 2019 წლის პირველი იანვრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი სახელმწიფო ინსპექტორი გახდება.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთმნიშვნელოვნად მიესალმება მსგავსი ტიპის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას. პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს ლოგიკურად ჯდება იმ რეფორმებში და იმ გეგმებში, რომელიც ჩვენ გვაქვს სამინისტროსთან მიმართებაში. ჩვენ ვერ ვხედავთ რისკს იმ ფასეულობებთან მიმართებაში, რომლის დანერგვასაც შინაგან საქმეთა სამინისტროში ვაპირებთ, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

როგორც **გიორგი გახარიამ** აღნიშნა, ამ ბოლო თვეების განმავლობაში, ჰქონდათ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი იქმნებოდა, ძალზედ მოსახერხებელი ინსტრუმენტი, იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესძლებოდა მეტად ეფექტიანი კომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვითვალისწინებთ იმას, რომ სამართალდამცველებს უნდა ჰქონდეთ მყარი ობიექტურობის შეგრძნება. ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი და ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებელი მექანიზმის ობიექტურობა არის ლაკმუსის ქაღალდი, რაზეც უნდა გაიაროს მისმა ეფექტურობამ“, — აცხადებს შს მინისტრი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ გაუგებარს უწოდებს ახალი საგამოძიებო მექანიზმის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან შექმნის გადაწყვეტილებას. „ბუნებით აბსოლუტურად განსხვავდება ეს ორი მიმართულება და ვერანაირი ლოგიკა და დასაბუთება, თუ რატომ იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული, დღეს ვერ მოვისმინეთ“, — მიიჩნევენ ორგანიზაციაში.

— დევნა მთავარი პროკურატურის ხელში რჩება, რაც ნიშნავს, რომ ირიბად პროკურატურა მაინც ზედამხედველობს გამოძიებას და პროკურატურა წყვეტს, რა საქმეები წავიდეს სასამართლოში, რაზე შეიძლება პოტენციურად შედეგი დადგეს. ამ დროს მთავარი საკითხი ქვეყანაში სწორედ ყველა სამართალდამცავი უწყების დამოუკიდებლობის და ეფექტურობის პრობლემაა“, — მიიჩნევს ორგანიზაციის წევრი გია გვილავა.

როგორც სახალხო დამცველმა **ნინო ლომჯარიამ** განაცხადა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შემოთავაზებული ვერსია მოულოდნელი იყო და პოზიციის ჩამოსაყალიბებლად სახალხო დამცველს დრო სჭირდება.

„იქიდან გამომდინარე, რომ ინსპექტორი, ერთი მხრივ, ზედამხედველობას და კონტროლს უწევს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და პერსონალური მონაცემების დაცვას, მეორე მხრივ, ის ამ კანონპროექტით ოპერატიულ სამძებრო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილებებით აღიჭურვება. კითხვა გვიჩნდება — როგორ მოხდება ამ პროცესში ინსპექტორის აპარატის მხრიდან ზედამხედველობა პერსონალური მონაცემების დაცვაზე?

ასევე, გვაქვს შეკითხვა — ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა რამდენად მოხდება მაშინ, როდესაც ჩვენ გამოძიების დროს ინსპექტორის საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობა გვრჩება. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდანაც. მივესალმები, რომ დისკუსია გაიხსნა და ამაზე მხოლოდ იდეის დონეზე არ ვსაუბრობთ. თუმცა, ჩვენ ნამდვილად ეფექტური მექანიზმი გვჭირდება“, — აღნიშნა ლომჯარიამ.

როგორც ჩანს, ახალი მაკონტროლებლის ფუნქციები ბოლომდე გარკვეული და გამიჯნული არ არის და, სავარაუდოდ, ფართო მსჯელობის საგანიც გახდება, თუმცა, მთავარია, ისეთი მექანიზმი შეიქმნას, რომელიც უწყებებს შორის კონფლიქტის გაღვივებას არ შეუწყობს ხელს და ჯანსაღ პროცესს ჩაუყრის საფუძველს.

მარიამ თოდაძე

ვინ რამდენი მსჯავრდებული შეინყალა?!

გიორგი მარგველაშვილის პერიოდში შეწყალებულია 3 671 მსჯავრდებული, მიხეილ სააკაშვილის პერიოდში კი, 34 947 მსჯავრდებული, ამ მხრივ გიორგი მარგველაშვილი რეკორდსმენი ნამდვილად არ არის, — აცხადებს შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძე.

ზვიად ქორიძე დარწმუნებულია, რომ შეწყალებასთან დაკავშირებით საზოგადოება შეცდომაში არ შევა, იმ დაუსაბუთებელი, არგუმენტებს მოკლებული და ცილისმწამებლური რეპლიკების შემდგომ, რომელსაც ბოლო პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ან პირების მხრიდან ჰქონდა ადგილი.

„ამ ცვლილებებით შეწყალებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორ შეიცვლება, ამის წინასწარ განჭვრეტა არ მგონია, ადვილი იყოს, არ ვიცით, რა ტიპის საქმეები მოვა და ა.შ. შეწყალების კომისიას სამუშაო გაეზრდება, მეტი საქმე შემოვა, შეიძლება, გადაწყვეტილება არ იყოს უპირობოდ მსჯავრდებულთა სასარგებლო, ვინაიდან კომისია ჩვეულებრივ იმსჯელებს. ალბათ, შეწყალებულთა რაოდენობა გაიზრდება, მაგრამ არსებითად არ გაიზრდება კეთილგანწყობა დანაშაულისადმი. რაც შეეხება სტატისტიკას, საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის მიერ სულ შეწყალებული იქნა 3 671 მსჯავრდებული და სასჯელმოხდილი პირი, მათ შორის 3438 მსჯავრდებული პირი, მათგან 2384 გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხსნისგან, ხოლო 1054-ს შეუმცირდა მოსახდელად დარჩენილი სასჯელი. მხოლოდ 233 პირი საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალებული იქნა პირდაპირი წესით დისკრეციის ფარგლებში“, — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები დაუბრუნდებათ!

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, **დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული, ლილოს ტერიტორიაზე მდებარე 4 მიწის ნაკვეთი და თბილისში, წყნეთის დასახლებაში მდებარე 2 მიწის ნაკვეთი დაუბრუნდებათ.**

პროკურატურის ინფორმაციით, დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი დანაშაულებრივი ფაქტები. **კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება ბიზნესმენ ბიძინა ჩიხლაძის კუთვნილი კომპანიის „რეალ კემპის“ ფინანსური საქმიანობის შესამოწმებლად. გამოძიების მსვლელობისას მთავარმა პროკურატურამ ბიძინა ჩიხლაძე და მისი პარტნიორები პასუხისგებაში მისცა, თითქოსდა მათი საქმის გამომძიებლისთვის ქრთამის შეთავაზების ფაქტზე, რასაც მოჰყვა მათი დაპატიმრება. აღნიშნულის შემდეგ პროკურატურა ბიძინა ჩიხლაძეს საპროცესო შეთანხმების გაფორმების, მისი და მისი პარტნიორების თავისუფლების სანაცვლოდ, სთხოვდა მისი კუთვნილი კომპანიის ბალანსზე არსებული სოფელ დიდ ლილოში მდებარე 4 მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ დათმობას. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საბოლოოდ ბიძინა ჩიხლაძემ ვერ გაუძლო ზეწოლას და მისი კომპანიის საკუთრებაში არსებული ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების 4 მიწის ნაკვეთი გადასცა სახელმწიფოს. რაც შეეხება მისი ბრალდების საქმეს, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, სასამართლო განხილვის ეტაპზე პროკურატურამ უარი თქვა ბრალდებაზე და ბიძინა ჩიხლაძე გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.**

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ქონება ასევე იძულებით დაათმობინეს მოქალაქეებს — ქეთევან კობახიძეს და დავით ანთაძეს, რომლებმაც 2009 წელს 24 000 აშშ დოლარად სრულიად კანონიერად შეიძინეს ქ.თბილისში, წყნეთის დასახლებაში მდებარე 600 კვ.მ და 598 კვ.მ მიწის ნაკვეთები. მოგვიანებით, თავდაპირველი მესაკუთრეების მიერ ხსენებული მიწის ნაკვეთების უკანონოდ ხელში ჩაგდების ფაქტზე, ქალაქის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება, სადაც 2010 წელს დაიბარეს ქეთევან კობახიძე და დავით ანთაძე და მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ ამ მიწის ნაკვეთების კეთილსინდისიერი შემძენები, დაკავებისა და პასუხისგებაში მიცემის მუქარით აიძულეს უსასყიდლოდ დაეთმოთ ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ამ დროისთვის ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გახსნილ ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტებზე დაზარალებულად ცნობილია 147 პირი, რომელთაც დაუბრუნდა და დაბრუნების პროცესშია 44 მილიონ ლარამდე ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის, ავტომანქანები, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო კომპლექსი, მიწის ნაკვეთები და ა.შ.“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ღვინის ქვეყანა ღირსია ედემის დარად ყვაოდეს!..

სიდუხჭირე მოგვშორდება, არ დავრჩებით უპოვარი, ნახევრადაც რომ ასრულდეს რუსთაველის სათხოვარი



50 **წლის** წინათ, დიდი ზეიმით რომ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი, გამიჩნდა სურვილი, 800-სტრიქონიანი ლექსი მიმეძღვნა რუსთაველისთვის, რის გამოქვეყნებაც შესავალის სახით **(და არა სრულად)** დავაპირე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისას უნივერსიტეტის გაზეთში, მაგრამ ვერ გავბედე. გადავწყვიტე, ახლა შევასრულო ძველი ჩანაფიქრი და გამოვაქვეყნო არა 800, არამედ უკვე 850 სტრიქონი ერგასი წლის მანძილზე დაგროვილი მოვლენების გათვალისწინებით. 150 სტრიქონს 2017 წლის XI-XII თვეებში მკითხველი გაეცნო გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ქრონიკა“ და სხვ. ამდენივეს ახლაც გთავაზობთ, დარჩენილს კი პერიოდულად შემოგთავაზებთ.

მსურს, კიდევ ერთხელ გავახმიანო ის იდეა, რომელსაც 2025 წლისთვის აღმაშენებლის გარდაცვალების 900 წლისთავის და მისი 36-წლიანი ხელმწიფობის აღნიშვნას ვუკავშირებ.

დედაქალაქის გულში, გმირთა მოედანზე აღვმართოთ სურათზე ნაჩვენები 36-საფეხურიანი კიბის მემორიალი ოქროს გვირგვინით, დაწყებული პირველი საფეხურით 1089 წლიდან და დამთავრებული 1125 წლამდე გარდახდილი მოვლენების მინიშნებით.

მაგალითად:

წარწერა 1 საფეხურზე: 1089 წელი. 16 წლის დავითის გამეფება და მისი უპირველესი დევიზი: „თავის თავს აუკრძალა, დატკბეს მეფური ცხოვრებით“

მე-2 საფეხურზე: 1090 წელი. დაამკვიდრა მმართველობის სტილი „ღირსეულთა ამაღლებისა და უღირსთა დამდაბლებისა“.

33-ე საფეხურზე: 1122 წელი. დიდგორი. „ძლევაი საკვირველი“.

დარწმუნებული ვარ, რომ 36-ვე საფეხური იქნება მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი ფეხის დადგმა გახდება არა მარტო ამაღელვებელი, არამედ სიხარულის მომგვრელი და გულის სიღრმემდე ჩაწვდომის შეხსენებაც, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის სტილი. ლოგიკური ანალიზით კი, ჩინებული იქნება, პრეზიდენტმა და პარლამენტარებმაც ერთგულების ფიცი სწორედ აქ დადონ.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მემორიალის იდეას პრესაში გაჟღერებისთანავე მოჰყვა გამოხმაურებები, **თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის,** და თანხების გაღების სურვილიც. პირადად ვწირავ 10 ტონა ყურძნის ღირებულების თანხას. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოვადგენ კიდევ ერთ **ფრიად მნიშვნელოვან ინოვაციურ იდეას, რომელიც დაჯაბნის დღემდე მსოფლიოში შექმნილ მემორიალებს,** გარშემორტყმულს იმავე გმირებით (რადგან მათი სახელები დღეს გმირთა მოედანზე ვერ იკითხება), სახელებისა და გვარების დღევანდელზე უკეთესი გამოკვეთით.

მემორიალი ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წინაპრებს, ჭარბ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რადგანაც მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტული და ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. მით უმეტეს, დავითის ხსენების დღეს 8 თებერვალს ბევრს სურვილი ექნება, ეამბოროს მირონცხებულ მეფეს. **აქედან მიღებული თანხები კი მთლიანად მივმართოთ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, მათ კეთილდღეობას.**

საქართველოს მთა და ველში მოჭიკჭიკე ცის ფრინველი -
სიმფონია ძველისძველი და გალობა სასურველი.
წინაპარი დიდქართველი გმირობაა საკვირველი,
რადგანა ვართ სულით ქველი, სისხლით თავის გამწირველი.

დაებედოს მამულს ბედი, ერს — სახელი, მტერს — ნაღველი,
მეტად ვიყოთ მიმზიდველი, თავად, ქვეყნის მომქარგველი,
გვმართებს ძმობა არაგვული, რაინდობა უშურველი,
წინსვლისათვის — საძირკველი, ზედ წალკოტი ამსახველი.

ყველა მხარეს ოქროს რთველი, გულსახარად მოსართველი,
ილიას ჭკუით მმართველი, ზენიტისკენ წარმმართველი,
და რომ გავხდეთ უძლეველი, აგვისრულდეს ეს ყოველი,
მოქმედებას გვთხოვს უფალი, საქართველოის მფარველი.

საღი აზრით, მართებულად, ახლებურად და კაცურად,
სამჯობინო ნაბიჯებით, ეროვნულად, იმდაგვარად,
რაგვარადაც წინაპრები მოქმედებდნენ მამაცურად,
ოდესღაც რომ წუთისოფელს ამშვენებდნენ ვაჟკაცურად.

სულიერად რომ ავმაღლდეთ, ვითა შოთა რუსთაველი,
დავაფასოთ კაცის ნიჭი, სანატრელი, სანუკველი,
რადგან არის გადამწყვეტი, ჩვენი ქვეყნის დიდად მშველი,
სხვა რა არის ყოფნის არსი, თუ სამშობლოს ვერ უშველი??

სიდუხჭირე მოგვშორდება, არ დავრჩებით უპოვარი,
ნახევრადაც რომ ასრულდეს რუსთაველის სათხოვარი —
სიქველე და სიყვარული ვიღოთ ვითა მაცხოვარი,
ჩვენს მიწაზე აღარ ივლის აღარც ერთი მათხოვარი,

სურვილს ვინც ლაგამს ამოსდებს, დაიმორჩილებს გრძობასა,
სიმართლის გზაზე მავალი იახლებს სათნოებასა,
გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს, მეგობრობას და ძმობასა,
გულს სიხალისეს შემატებს, სულსა კი სულგრძელობასა.

ცხოვრებას ახასიათებს ქიშმობა, აურზაური,
უდავო ჭეშმარიტებას სულ მუდამა სდევს ხმაური,
რადგან ნიჭს გვერდზე მიჰყვება გაუტანლობა და შური,
დღევანდელ სინამდვილეში ბევრი გვაქვს ამის დასტური.

გვახსოვს ერეკლეს გაცემა ომში და მისი ძახილი,
ამაგი სააკაძისა და ბაზალეთის მახვილი,
დიმიტრი თავდადებულის გმირული გამოძახილი,
წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი საქვეყნო ზრუნვით დაღლილი.

არსაკიძის ხელის მოჭრა სვეტიცხოვლის გებისათვის,
დიდ ივანეს გაწამება უნივერსიტეტისათვის,
და ილიას შუბლში ტყვია საქართველოს გულისათვის,
ამის მქმნელი იუდანი იყვნენ მონა გროშისათვის.

თემას ვუხვევ, მაგრამ დავძენ - ასათიანს უკვდავ გზაზე
არ ეღირსა საკადრისი სასაფლაო მთაწმინდაზე,
მაშინ, როცა ლადოს ლექსებს ხალხი მღერის ქვეყანაზე
და მუდამაც აჟღერდება ჩვენს მადლიან მიწა-წყალზე.

ავი აზრების მქონებელს კარგს ვერას გააგონებენ,
ქვეყნად არაფრის მაქნისსა სიძულვილს შთააგონებენ,
ქადილს ვინც ძალას არ ახმარს, დაჩაგვრით დაიმონებენ.
სიავის გასამყარებლად რეგვნებსაც დაიმოწმებენ.

საქმე კაცს ემორჩილება, თუ აქვს კეთების სურვილი,
მძიმეა გარჯა ყოველი, თუ ახლავს გულისტკივილი,
ვერ დასძრავს ხვეწნა-მუდარა, სიტყვები ოქროცურვილი,
წყალს არ ინდომებს პირუტყვიც, თუკი მოიკლა წყურვილი.

მემატიანე ამტკიცებს დამაჯერებელ ცნებითა -
მეფე დავითიც ყოფილა გარშემორტყმული მტრებითა,
ვინც საქართველო განავრცო მრავალი გამარჯვებითა,
და საფუძველი ჩაყარა მომავლის გაბრწყინებითა.

აღვმართოთ მემორიალი სამშობლოს აღმშენებლისა,
დედაქალაქის შიგ გულში ოქროსფერ ელვარებისა,
უუდიდესი სარდლისა სულისა აღზევებისა,
დასადარებლად მნათობთა, დრო-ჟამის მოქმედებისა.

დღესაც გვჭირდება ერის ძე, მოჭირნახულე ხალხზედა,
ბაირაღტარად გაგვიძღვეს პაპის-პაპათა კვალზედა,
სათნოებითა გვატაროს აღორძინების გზაზედა -
ოქროს გვირგვინიც დაადგას საქართველოს ძეს თავზედა.

ეს არის ჩემი პირველი, ახალგაზრდული ოცნება,
რომ იყოს გამორჩეული გმირთა გმირისა მშვენება,
მადლობა ყველას, თუ თხოვნა, ვედრება, აღფრთოვანება
ოქროკაზმულად მეფეთა მეფისთვის შეიკონება.

თაობა რომ წინაპართა მაგალითზე იზრდებოდეს,
ქვეყნისათვის შთამბეჭდავი ბევრი უნდა იქმნებოდეს,
ძველი ახლით ნაბიჯ-ნაბიჯ, განახლებით იცვლებოდეს,
არემარე ახალ გზების მიღწევებით მშვენდებოდეს.

ერი ლაღობდეს, შრომობდეს, სულ მუდამ იყოს ფხიანი,
ჩნდეს ყველა დარგი მზიანი, უხვი და ბარაქიანი,
გონება შორსა მჭვრეტელი, აზრები განზრახვიანი,
გვედარდებოდეს მამული და საქართველო მთლიანი.

რომ არ დავტოვოთ ხვალისთვის დღეისდღის მომდავებელი,
სამშობლო ჩვენი უკვდავი გავხადოთ წარმატებული,
მომავლის ტაძრის ჩუქურთმის სრულქმნილად მქანდაკებელი,
ოცნება ამა წადილის დე, გახდეს ამსრულებელი.

ასპარეზზე წინ წაგვიძღვეს და მიზნები გაამყაროს,
საქართველოს განდიდებით ერი ისე გაახაროს,
ქვეყნის წინსვლა მოდავემაც არმაღანად აღიაროს,
და ნანახით მტერი წელში სამუდამოდ მოიხაროს.

სიბოროტეა სათავე მუდამ დავის და ავისა,
შური სიმდაბლის დედაა, მშობელი დამნაშავისა,
მამაცსა მართებს გარჩევა საქმის თეორის და შავისა,
მიუმხრობელი სიტყვაა გადამწყვეტელი დავისა.

ძილშიც მწადია სამშობლოს განახლებული დიდება,
მცირე მიწიან ქვეყნისთვის ეს უფრო მეტად მინდება,
გამართულ ყოფას სჭირდება ძლევამოსილი ქმედება,
ნაყოფიც ჩვენი შრომისა შედეგში გამოვლინდება.

ლექსად გამოთქმულ ნატვრასა იმედით დაველოდები,
რომ მოვიშოროთ წუხილის გულზე დაყრილი ლოდები,
არ დავიშუროთ ძალ-ღონე, რომ გაიფანტოს დარდები,
შთამომავლობას გადავცეთ გზა, მობნეული ვარდები.

ღადარში ღვიძავს ნაღვერდალს, დრო მოვა, ცეცხლად იალებს,
იმედის მწვანე ყლორტებში რწმენის მარცვალი შრიალებს,
უიღბლო იღბალს მოელის, ცხოვრება ასე ტრიალებს,
მიდის საწუთოროს მდინარე და ტალღებს მიაგრიალებს.

ტკბილი ღვინო რომ მივუძღვნა დალოცვილ სვეტიცხოველსა,
ახალი ჯიში შევქმენი, სახელად ვარქმევ რუსთველსა,
შემწეობას ვთხოვ ქველმოქმედს, სახელოვანსა ქართველსა,
სამების ამშენებელსა, საუკუნეთა მომრთველსა.

ვაზის სამშობლოს შევმატოთ საგვარეულო ვაზები,
ვაჟას, ილიას, აკაკის სახელდებული ჯიშები,
მამულიშვილთა ნაღვაწით ავაღორძინოთ დარგები,
ამოტივტივდეს ახალი და საამაყო აზრები.

ვაზი ლხენაა კაცისთვის, ვენახი უფრო მეტია,
აყვავებული მამული სიცოცხლის მარგალიტია,
მოვლა, შრომა და ალერსი ხვავის, ბარაქის კვირტია,
ვითა აკვანში ჩაკრული ჩვილი დედ-მამის გვრიტია.

ღვინის სამოთხე ღირსია ედემის დარად ყვაოდეს,
ალამაზებდეს სამყაროს, სიტურფით მზესთან დარობდეს,
სიახლეების სიუხვით ზვარ-ვენახებსაც ამკობდეს,
მარნებში ღვინის დუღილის ოხშივარიც კი გვათრობდეს.

რა იქნება ვინახულოთ სამოთხისკენ გზა გაჭრილი,
ხუთასივე ვაზის ჯიში დახუნძლული, გადახრილი,
შენი მტერი, რუსთაველო, წელში მწარედ გადაჭრილი,
საქართველოს მოღალატე ძირიანად ამოთხრილი.

უშრეტია ყველა გმირის საქმეები საქებარი,
მათი ღვაწლი და ამაგი სიბრძნე არის უებარი.
ვით თამარის ოქროს ხანის დროებაზე საუბარი,
რვაასი და ერგასი წლის შოთა ტკბილად მოუბარი.

ეს ქვეყანა დალოცვილი საარაკო მიტომ არი,
ვაზისა და პოეზიის კვლავაცა ვართ წინამძღვარი,
მლოცველია მამა-პაპა, შორეული წინაპარი,
დიდ-პატარა ეკლესია და უკვდავი ნინოს ჯვარი.

ქვეყნის დარდი გულზე მედოს, საქართველოს აერიდოს,
აზრი რითმას ჩანაფიქრით ოსტატურად შეეფარდოს,
დედააზრით და ფიქრებით არასოდეს არ მედარდოს,
შაირებით მისი არსი კიდევ მეტად გამეზარდოს.

ერგას წელმა მიკარნახა საქართველოს მეკვლედ ჰყავდეს
რუსთაველი, ჩვენც რომ ტრფობა მისდაგვარად აგვიყვავდეს,
არვინ არვის არასოდეს არ ჩაგრავდეს, არცა კლავდეს,
ზეცის ძალა ერთი ასად მძლავრობდეს და გვიფარავდეს.

დავამარცხოთ დრომოჭმული, გზა გავუხსნათ სიახლეებს,
ხვალის ვენახს, ახალ აზრებს, კაცის ნიჭსა, მარჯვე ხელებს,
ქვეყნის წინსვლას და მომავალს, ერს რომ საქმით ასახელებს,
საქართველოს სადიდებლად კვლავ რაც სურვილს გაგვიახლებს.

სიტყვები მოვაბადაგე, ცოტაც ვაფრქვიე ნაცარი,
არ შემიფასოთ ეს ლექსი, გულწრფელად დასაფიცარი,
რადგან ჯერ კიდევ ვაზროვნებ, ჭაბუკობს გულის ფიცარი,
ხუთასი სტროფი წინ არის აზრებით გასაოცარი.

თამაზ ძვლივიძე
599 10 43 18

...სხვადასხვაზე თქმული

საუკეთესო ჯილდო იმ მეცნიერისთვის, ვინც მთელი ცხოვრება ესწრაფოდა ჭეშმარიტების მცირე რამ ნაწილაკის მოპოვებას, იმის რწმენაა, რომ ადამიანებს ესმით ამ მეცნიერის და ტკბებიან იმისავე შრომებით.

* * *

სიდიადისკენ ოდენ ერთი გზაა და ეს გზა ტანჯვის წიაღ გადის.

* * *

მთავარი თაღლითები ისინი არიან, ვინც ნიუ-იორკის ნავსადგურის შესასვლელთან თავისუფლების აღალმა აღმართა და ჰგონია, რომ ამ სიმბოლოს მცირე რამ მაინც აქვს კავშირი ამჟამინდელი ამერიკის წესწყობილებასთან.

* * *

ჯერ კიდევ პლატონის ხანაში და მერეც, უფრო მოგვიანებით, ჯეფერსონის დროს, შეიძლებოდა დემოკრატიის შეთავსება ზნეობრივ და ინტელექტუალურ არისტოკრატიასთან. დღევანდელი დემოკრატია კი სხვა პრინციპზეა დაფუძნებული, სახელდობრ: „ეგ სხვა სრულებითაც არა მჯობია მე!“

* * *

ზნეობრიობა ყოველგვარ ადამიანურ ფასეულობათა საფუძველია.

* * *

ზნეობის პრინციპები არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და გაყინული სისტემები. ეს უფრო ის თვალსაზრისია, რომლის საშუალებითაც ჩვენს ცხოვრებაში წარმოქმნილ საკითხებს შეუძლიათ და უნდა შეფასდნენ. ეს ამოცანა არცროდის არ მთავრდება, ყოველთვის თანხლებულია, მოთავეობს ჩვენს მსჯელობებსა და ჩვენს საქციელს.

* * *

დედამიწის ზურგზე ყოვლის გასაგებად უფრო ძნელი რამ საშემოსავლო გადასახადია.

* * *

ბედ-იღბალი თუ ხვედრი და მიზეზობრიობის პრინციპი ერთი და იგივე არ არის.

* * *

ინდივიდუუმები ბავშვობაში, ერთი ენით გაერთიანებულნი, ითვისებენ ამ ურთიერთობებსა და წესებს ინდივიდალურ დონეზე. როცა ადამიანი შეიცნობს ამ ურთიერთდამოკიდებულებებს ნიშნებს შორის, იწყება ენის გრამატიკა.

* * *

ძლიერთა წინაშე ქვევძრომობ და სუსტებს ვაშოშმინებ, ყოველივე ამას სისხლის დაუღვრელად ვახერხებ.

* * *

მცირე ცოდნა ისევე საშიშია, როგორც რომ დიდი ცოდნა.

* * *

არ ეგების გრავიტაციის იმაში დადანაშულება, რომ ადამიანებს ერთმანეთი უყვარდებათ.

* * *

ადამიანის აზროვნება მიედინება ძირითადად სიტყვათა დაუხმარებლად და უფრო მეტიც, მნიშვნელოვანწილად არაცნობიერად.

* * *

ჩემის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების მისაღწევად ერთად ვიყენებდეთ სხვადასხვა ხერხებს. ამას თუ ვამბობ, მესმის კიდეც, რომ ყველა ჩვენს მიდრეკილებას და გემოვნებას, აგრეთვე მშვენიერების გრძნობას და რელიგიურ ინსტინქტებს თავიანთი საფუძვლიანი წვლილი შეაქვთ იმ დახმარებაში, რასაც ისინი უწევენ ჩვენს სააზროვნო უნარს ჭეშმარიტ მიღწევებში.

* * *

უკეთუ პირველ მომენტში იდეა აბსურდულად არ გვეჩვენება, ის უიმედო იდეაა.

* * *

ბუნება თავის საიდუმლოებებს მალავს თავისი ნიშანდობლივი სიმაღლის ხარჯზე და არა ფანდების გზით.

* * *

ჭეშმარიტების მიღწევა შეუძლებლად მიმაჩნია, თუ არა ემპირიული ფუნდამენტით. თუმცა, რაც უფრო ღრმად ვიჭრებით ჭეშმარიტებაში და რაც უფრო ყოვლისმომცველი ხდება ჩვენი ესა თუ ის თეორია, მით უფრო ნაკლები ემპირიული ცოდნა გვჭირდება თვითონ ამ თეორიების შესაქმნელად.

* * *

სადენიანი ტელეგრაფი თითქოს ძალიან, ძალიან გრძელი კატაა. კუდით ეწევი ნიუ-იორკში, იმისი თავი კი თითქოს ლოს-ანჯელესში კნავის., რადიოც ასევე მუშაობს: სიგნალებს აქ ვაგზავნით, მიღებით კი იქ იღებენ. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ არავითარი კატა არ ჩანს.

* * *

სრულქმნილი საშუალებანი გაურკვეველი მიზნების თანხლებით ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშანია.

* * *

გონება, რომელმაც ერთხელ თუ გაიფართოვა თავისი საზღვრები, არცროდის აღარ დაუბრუნდება წინანდელს.

* * *

მოცეკვავენი ღმერთის ათლეტები არიან.

* * *

მე დარწმუნებული დემოკრატი ვარ და მტკიცედ მჯერა, რომ ადამიანთა საზოგადოებაში მალე დადგება უძრაობისა და გადაგვარების ხანა, უკეთუ სოციალურად შეგნებულ და პატიოსან მამაკაცთა და დედაქალთა უმცირესობა არ გამოავლენს იმისთვის მზადყოფნას, რომ მსხვერპლნი გაიღონ თავიანთი პირადი რწმენა-მრწამსისთვის.

* * *

ბუნება დიდებული რამ შენობაა, რომელის სრულად გაგება არ შეგვიძლია და რომელიც მოაზროვნე ადამიანის სულში თვინიერების გრძნობას აღძრავს. ამ ჭეშმარიტ მოწიწებულ გრძნობას არცრა საერთო არა აქვს რა მისტიციზმთან.

* * *

დღეს ადამიანურ ძალისხმევათაგან უმნიშვნელოვანესია ზნეობრიობისადმი სწრაფვა. ამ სწრაფვაზეა დამოკიდებული ჩვენი შინაგანი სიმტკიცე და თვით ადამიანობის არსებობა. მხოლოდ ზნეობრიობა ადამიანთა საქციელში ალამაზებს და აღირსიანებს ჩვენს ცხოვრებას.

* * *

საღი აზრი გვეუბნება, რომ დედამიწა ბრტყელია.

* * *

სამხედრო მრეწველობა სინამდვილეში უდიდესი საშიშროებაა მთელი კაცობრიობისთვის. ის შავი მოძრავი ძალაა, რომელსაც მიმალულ-მიფარებულია ყოველგან გავრცელებული და ავად ფეხმოკიდებული ნაციონალიზმით.

* * *

ამერიკაში უცხოელს თავი რაც შეიძლება თვითდაჯერებულად უნდა გეჭიროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აბუჩად აგიგდებენ და არცრას გადაგიხდიან.

* * *

ამჟამინდელი დროის მისტიკური ტენდენციები, მუდმივად რომ იჩენენ თავს თეოსოფიისა და სპირიტუალიზმის მძაფრ ზრდაში, აზრის სისუსტისა და შფოთვა-ბორგვის მაჩვენებელია. ჩვენი შინაგანი გამოცდილება ხომ სენსორულ შთაბეჭდილებათა კვლავწარმოებასა და კომბინაციაზეა დაფუძნებული. სულის კონცეფცია უსხეულოდ სიცარიელედ და უაზრობად მეჩვენება.

* * *

ძორწინება იმის ცდაა, რომ შემთხვევითი ეპიზოდიდან შევქმნათ რაღაც გამძლე და ხანგრძლივი.

* * *

უკეთუ მეცნიერის მელანი ესოდენ ბლანტე და წებოვანი არ იქნებოდა, მეგობრული წერილის პასუხად ის ბევრად უფრო ვრცელ ბარათს გაგზავნიდა.

* * *

რა შეიძლება რომ თევზმა იცოდეს წყალზე, სადაც მთელი ცხოვრება დაცურავს?

* * *

ცხადია, რომ წარმოსახვა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოდნა. ცოდნა შეზღუდულია, წარმოსახვა კი მთელ სამყაროს მოიცავს, ამასთანავე ახალისებს პროგრესს და წარმოშობს ევოლუციას.

* * *

არ არის სივრცე და დრო, არის ორივეს ერთიანობა.

* * *

პოლიტიკა რაღაც ქანქარას წარმოადგენს, რომელიც ირხევა ანარქიასა და ტირანიას შუა, აგრეთვე ენერგიას ხაპავს მუდმივად განახლებად ილუზიებში.

* * *

საერთაშორისო კანონები არსებობენ მხოლოდ საერთაშორისო კანონების კრებულებში.

* * *

ადამიანური წარმოსახვა ადამიანისავე ის უნარია, რომ მან დღეს დაინახოს, რაც იმის ცხოვრებაში უკვე ხვალ მოხდება.

* * *

ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა იმის მოხდენა, რომ ეპოქა, რომელსაც აგრერიგად უყვარდა კულტურა, ესოდენ შემზარავად უზნეო გამოდგა... მე სულ უფრო ვრწმუნდები, რომ მოყვასისადმი გულმოწყალება და სიყვარული ყოველივე დანარჩენზე ბევრად ფასეულია და უფრო მაღლა დგას... ხოლო მთელი ჩვენი ცივილიზაცია და ნაქებარი ტექნიკური პროგრესი კი ნაჯახის მსგასია, საშიშ დამნაშავეს რომ უჭირავს ხელში.

* * *

რთული სათქმელია, რა შეიცავს ჭეშმარიტებას, მაგრამ სიცრუე ძალიან ხშირად იოლად შესაცნობია.

* * *

არცრა მიზანი ვერ იქნება იმსიმაღლე, რომ გაამართლოს თავისი სიმაღლის მისაღწევად უღირსი საშუალებანი.

* * *

ყოველივე ისე უბრალოდ უნდა იყოს გადმოცემული, როგორც შესაძლებელია, ოღონდ არა უფრო მეტად.

* * *

ადრე ბუნებას არცროდის მივაწერდი არცრა მიზანს, წინასწარგანზრახულ ლტოლვა-სწრაფვას ანდა ისეთ რასმე, რაც საჭიროებდა ანთროპომორფულ ახსნა-განმარტებას. დღეს ბუნება დიდებულ სამ შენობას წარმოადგენს, რომლის სულაც არა სრულად გაგება შეგვიძლია და რომელიც ყოველი მოაზროვნე ადამიანის სულში ჭეშმარიტი თვინიერების გრძნობას აღძრავს. ამ ნამდვილად მოწიწებულ გრძნობას მისტიციზმთან არცრა საერთო არ უნდა ჰქონდეს.

* * *

მუსიკა ზეგავლენას არ ახდენს საკვლევ სამუშაოზე, თუმცა ორსავე საერთო წყარო კვებავს, ეს არის მგზნებარე სურვილი, ისინი ერთმანეთს ავსებენ იმით, რომ სულიერი დაძაბულობის მოხსნის უნარი აქვთ.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)



ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი

რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ადამიანებო, ისწავლეთ გუშინ, იცხოვრეთ დღეს და ხვალის იმედი იქონიეთ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ არ შეწყვიტოთ საკუთარი თავის მიმართ კითხვები... არცროდის არ იგულმავიწყოთ წმიდათაწმიდა ცნობისმოყვარეობა.

* * *

საზოგადოების ზნეობრივი პროგრესი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის დამოუკიდებლობაზე.

* * *

ურიგმარიგობაში იპოვეთ სიმარტივე; უთანხმოებაში იპოვეთ ჰარმონია; სიძნელეში იპოვეთ შესაძლებლობა.

* * *

ინტელექტის გაღმერთება არ ღირს, ინტელექტს ძლიერი კუნთები აქვს, მაგრამ არა აქვს სახე.

* * *

საღი აზრი ამოჩემებათა ჯამია, რასაც 18 წლის ასაკამდე ვიძენთ.

* * *

დროის არსებობისთვის ერთადერთი მიზანი ის არის, რომ ყველაფერი ერთდროულად არ მოხდეს.

* * *

შეყვარება სულაც ყველაზე სულელური საქმე არ არის. მიზიდულობა კი არც არაფერშია დამნაშავე.

* * *

თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი მხოლოდ ის ხდება, ვინც იმ თავის საქმეში მთელ სულსა და გულს დებს. ოსტატობა სრულ თავდადებას ითხოვს. მაგალითისთვის, ტოსკანინი მუდმივად ამტკიცებს ამას მთელი თავისი ცხოვრებით.

* * *

სწორედ ის დროა, რომ წარმატების იდეალი შევცვალოთ მსახურების იდეალით.

* * *

თანამედროვე პრობლემები კიდევ დიდხანს ვერ გადაწყდება, უკეთუ იმავე დონეზე ვიაზროვნებთ, როგორც მაშინ ვაზროვნებდით, როცა ამ პრობლემებს ვქმნიდით.

* * *

ნუთუ მთვარე მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ თაგვი ასცქერის?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-21

◎ მილოცვა

საგზაო დარგის ვეტერანი

ირაკლი ყანჩელი – 80

ბატონო ირაკლი!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

თქვენ საგზაო დარგში მუშაობა დაიწყეთ 1961 წელს თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის სპეციალობით, თქვენ განვლეთ სახელოვანი გზა ოსტატიდან ტრესტის მმართველის თანამდებობამდე.

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა საქართველოში მრავალი საპასუხისმგებლო ობიექტი, საავტომობილო ხიდები, გზები და საგზაო ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები, როგორიც არის თბილისში ორი საცხოვრებელი სახლი, მეტალოკონსტრუქციის ქარხანა, ფასანაურში სამხედრო ობიექტი, გაგარინის ქუჩაზე საინჟინრო კორპუსი...

№1 ტრესტის მმართველობის დროს თქვენ ხელმძღვანელობდით მე-9 საგზაო სამშენებლო სამმართველოს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში აწარმოებდნენ ხელოვნური ნაგებობებისა და გზების მშენებლობას, აღსანიშნავია სომხეთში და საჩხერეში მიწისძვრით დაზიანებული გზების აღდგენა და მშენებლობა.

1996-2000 წლებში თქვენ მოღვაწეობდით მოსკოვში და სარეკონსტრუქციო და სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებდით მოსკოვის წრიულ საავტომობილო გზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ იმ მძიმე წლებში თქვენ მოსკოვში დასაქმებული გყავდათ 100 თანამემამულე სპეციალისტი.

2003 წლიდან დღემდე თქვენ ხელმძღვანელობთ შპს „გზამშენპროექტს“, რომლის ძირითადი საქმიანობაა საზედამხედველო მომსახურების გაწევა საქართველოს ყველა რეგიონში მშენებარე ხელოვნური ნაგებობებისა და გზების მშენებლობისა.

თქვენ ხართ საქართველოს მეგზევეთა სახელოვანი წარმომადგენელი, თქვენი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი გახდა მაღალკვალიფიციური მშენებელი, თქვენი თავდადებული შრომა მისაბაძი იყო თქვენი კოლეგებისათვის.

თქვენ დაჯილდოებული ხართ მრავალი ორდენით, მედლითა და სიგელებით თავდაუზოგავი და ნაყოფიერი შრომისათვის, უნდა გამოვყოთ მეგობრობის ორდენი, რომელიც მიღებული გაქვთ ქალაქ სპიტაკში მიწისძვრით დაზიანებული გზების აღდგენა-მშენებლობისთვის, მინიჭებული გაქვთ საპატიო გზის მუშაკის წოდება.

თქვენ ხართ ღირსეული და მისაბაძი მეუღლე, მამა და ბაბუა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს და გისურვებთ უშრეტ ენერგიას, რათა გააგრძელოთ შრომა ჩვენი ქვეყნის, საგზაო დარგისა და თქვენი ოჯახის საკეთილდღეოდ.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

მთავარი მეგობარი – ამერიკა, მტერი – რუსეთი!

საქართველოში გამოკითხულები ქვეყნის მთავარ მეგობრად – აშშ-ს, მტრად კი რუსეთს მიიჩნევენ. სკპს – ის კვლევის „კავკასიის ბარომეტრი 2017“ თანახმად, საქართველოს მთავარ მეგობრად გამოკითხულთა 25% ასახელებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, 7% – აზერბაიჯანს, ასევე 7% - უკრაინას, 6% – თურქეთს, 6% – რუსეთს. გამოკითხულთა 17% მიიჩნევს, რომ არც ერთი ქვეყანა არ არის საქართველოს მეგობარი, 25%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის.

რაც შეეხება მთავარ მტერს, გამოკითხულთა 40% რუსეთს ასახელებს, 3%- თურქეთს, 6% – სხვას, 21% - – არც ერთს, 30%-მა კი კითხვაზე პასუხი არ იცის.

„კავკასიის ბარომეტრი“ გამოკითხვას საქართველოში **სკპს**-საქართველო ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაციის გრანტის ფარგლებში ატარებს. გამოკითხვის შედეგები წარმომადგენლობითია საქართველოს მასშტაბით. „კავკასიის ბარომეტრი“ რეგიონული პროექტია – გამოკითხვა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ერთნაირი მეთოდოლოგიით ტარდება და მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა. აღნიშნული გამოკითხვა საქართველოში 2008 წლიდან ყოველწლიურად და 2013 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

კიევის სააპელაციო სასამართლოში სააკაშვილის საქმის განხილვა 5 თებერვლამდე გადაიდო

კიევის სააპელაციო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის საქმის განხილვა გადაიდო. სააკაშვილის უკრაინის ტერიტორიაზე ლეგალურად დარჩენის საკითხს სასამართლო 5 თებერვალს მიუბრუნდება. ადვოკატ რუსლან ჩერნოლუცკის თქმით, მათთვის გაუგებარია, რატომ შეიცვალა მოსამართლეთა კოლეგია აღნიშნულ საქმეზე.

„ჩვენ მოსამართლეთა კოლეგიის შეცვლაზე არანაირი საპროცესო დოკუმენტი არ მიგვიღია. მოსამართლეთა აცილება, რომელსაც მიხეილ საკაშვილი 22 იანვარს ითხოვდა, არ დააკმაყოფილეს, რაც ნიშნავს, რომ მოსმართლეთა კოლეგიის ეს შემადგენლობა უცვლელი უნდა დარჩენილიყო. თუმცა რატომღაც, გუშინ შევიტყვეთ კოლეგიის შეცვლის შესახებ. გვსურს, გავარკვიოთ, რის საფუძველზე მოხდა ეს“, – განაცხადა რუსლან ჩერნოლუცკიმ.

◎ ისტორიის სვეტი

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1750 წლის 1 თებერვალს გარდაიცვალა ქართლის მეფე 1717-1719 წლებში, მეფე ვახტანგ VI-ის ძე ბაქარი, იყო თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მედგრად ებრძოდა შინაურ და გარეშე მტერს, ცდილობდა ჯარის რეორგანიზაციის, მეზობელ ხალხებთან – სომხებთან, დაღესტნელებთან, ჩეჩნებთან, ოსებთან ურთიერთობის განმტკიცებას. 1724 წელს მამასთან ერთად გაეცალა საქართველოს.

რუსეთში ბაქარს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და მოსკოვის ოლქის საარტილერიო კანტორის უფროსად დანიშნეს.

მისი ხელმძღვანელობით მოსკოვში დიდი მუშაობა გაჩაღდა ქართული სტამბის შესაქმნელად. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

1930 წლის 1 თებერვალს გამოიცა სსრკავშირის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილება „ერთიანი კოლექტივიზაციის რაიონებში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის განმტკიცებისა და კულაკობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“. ამას იმავე წლის 1 მარტს მოჰყვა სსრკ-ის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო არტელის სამაგალითო წესდების შესახებ“, რამაც საბოლოოდ მოუთავა ხელი სოფელს.

1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში (ყირიმი) გაიმართა მოკავშირე სახელმწიფოთა – სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების – იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის კონფერენცია.

100 წლის წინათ, 1918 წლის 8 თებერვალს, წმინდა მეფე დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეს, ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით, რომელთაც ივანე ჯავახიშვილი მეთავეობდა, გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველი სემესტრის განმავლობაში ის კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ხოლო მეორე სემესტრიდან, 1918 წლის 3 სექტემბრიდან, გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად. პირველ სემესტრში მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი არსებობდა, რომელიც აერთიანებდა ჰუმანიტარულ, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო დარგებს.

1806 წლის 8 თებერვალს ბაქოს ხანთან ჰუსეინ ყული ხანთან შეხვედრისას მოკლეს საქართველოს მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი პავლე ციციანოვი, გადაჯიშებული ქართველი, რომლის წინაპარიც ვახტანგ VI-ეს გაჰყვა რუსეთში. გენერალს თავი და ხელები მოჰკვეთეს და თავრიზში შახს აბას მირზას გაუგზავნეს, ცხედარი კი ბაქოს გალავანთან ჩაფლეს. 1806 წლის 2 ივნისს ის ბაქოს სომხურმა ეკლესიამ კუბოში ჩაასვენა, ფისის სქელი ფენით დაფარა და 1811 წლამდე იმ სომხურ ეკლესიაში ინახებოდა. 1811 წლის დეკემბერში საქართველოს მთავარსარდალმა ფილიპ პაულუჩიმ თბილისში გადმოასვენებინა. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

2 თებერვალი, 2018 წელი

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი

ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის შესყიდვა საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორისათვის

სესხის **№. IBRD 8547-GE**
მოწვევის **№: IBRD/EWHCIP/G/ICB-01**

1. მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შეესაბამება ზოგად შეტყობინებას შესყიდვის შესახებ (GPN) ამ პროექტისათვის, რომელიც გამოცემულია ელექტრონულად UNDB-ში 2015 წლის 28 ივლისს.

2. საქართველომ მიიღო სესხი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD) აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი მოხმარდება ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ამ მოწვევის **№IBRD/EWHCIP/G/ICB-01** შედეგად დადებული კონტრაქტის დაფინანსებას.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, როგორც პროექტის განმახორციელებელი უწყება, იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად **ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის** მოწოდება-მონტაჟზე საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორისათვის.

4. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის (ICB) პროცედურების თანახმად, რომლებიც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში *მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ საქონლის, სამუშაოების და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში (გამოცემული 2011 წლის იანვარს, რედაქტირებული 2014 წელს).* ტენდერი ღიაა ამ სახელმძღვანელოთი განსაზღვრული ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისათვის, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

(a) პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს დოკუმენტური დადასტურება შემდეგი ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად:

(i) პრეტენდენტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში (2016, 2015, 2014) არ უნდა იყოს 2,000,000.00 (ორი მილიონი) აშშ დოლარზე ან ექვივალენტურ თანხაზე ნაკლები. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, საწარმოს ყველა პარტნიორმა ერთად უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა, ამასთან, თითოეულმა პარტნიორმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნილი ბრუნვის მინიმუმ 40%.

(ii) მინიმუმ 450,000.00 (ოთხას ორმოცდათი ათასი) აშშ დოლარის ან ექვივალენტური თანხის ლიკვიდური აქტივების (მაგ. ნაშთი საბანკო ანგარიშზე, ლიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტები, მოქმედი საკრედიტო ხაზი) ხელმისაწვდომობა.

(b) ტექნიკური მოთხოვნები:

(i) პრეტენდენტს ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს განხორციელებული მსგავსი ხასიათის და სირთულის, მინიმუმ 100 კმ სიგრძის, ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის მიწოდება, მონტაჟი, კონფიგურირება და ექსპლუატაციაში გაშვება. ზემოაღნიშნულის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულოა.

(ii) ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის მონტაჟის მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს კონტრაქტების ჩამონათვალს, ინფორმაციას ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემისა და პროექტების წარმატებით განხორციელების შესახებ. ჩამონათვალი ასევე უნდა მოიცავდეს შემსყიდველების საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის და ფაქსის ნომრებს, მისამართებს, ელექტრონულ ფოსტას და საფოსტო მისამართს).

5. წინასატენდერო შეხვედრა, რომელზეც პრეტენდენტებს შეუძლიათ დასწრება, ჩატარდება **2018 წლის 22 თებერვალს, ხუთშაბათს, 15:00 საათზე** ადგილობრივი დროით.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სრული სატენდერო პაკეტის ინგლისურ ენაზე მოთხოვნა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენის საფუძველზე.

მოთხოვნის შემთხვევაში, სატენდერო პაკეტი გაეგზავნება პრეტენდენტს კურიერის საშუალებით პრეტენდენტის ხარჯზე.

7. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარადგინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2018 წლის 22 მარტის 15:00 საათამდე** ადგილობრივი დროით. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა იყოს **17,500.00 (ჩვიდმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარი**. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები იქნება უარყოფილი. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე **2018 წლის 22 მარტის 15:15 საათზე** ადგილობრივი დროით სატენდერო წინადადებების გახსნაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით.

8. პრეტენდენტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგს: (i) პრეტენდენტებმა თავიანთ სატენდერო წინადადებებში უნდა დაასაბუთონ, რომ ყველა პროგრამული უზრუნველყოფა ლიცენზირებულია (მოქმედი ლიცენზიით) ან წარმოებულია პრეტენდენტის მიერ და, (ii) რომ გადახრები ჩაითვლება თაღლითობად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფლებამოსილების შეწყვეტა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული კონტრაქტების მინიჭებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზ. №12, თბილისი, 0160 საქართველო
ტელ/ფაქსი: (+995 322) 37-05-08
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: : www.georoad.ge

გიორგი სეთურიძე,
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

Invitation for Bids (IFB)

February 2, 2018

Georgia

East West Highway Corridor Improvement Project

Procurement of Intelligent Transport System (ITS) for East-West Highway Corridor of Georgia

Loan No. IBRD 8547-GE
IFB No: IBRD/EWHCIP/G/ICB-01

1. This Invitation for Bids (IFB) follows the General Procurement Notice (GPN) for this project that appeared in UNDB online on **July 28, 2015.**

2. Georgia has received a loan from the International Bank for Reconstruction and Development toward the cost of *East West Highway Corridor Improvement Project* and it intends to apply part of the proceeds of this *loan* to payments under the agreement(s) resulting from this IFB No.*IBRD/EWHCIP/G/ICB-01.*

3. The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) serves as the implementing agency for the project and now invites sealed bids from eligible Bidders for Supply and Installation of Intelligent Transport System (ITS) for East-West Highway Corridor of Georgia.

4. Bidding will be conducted using the International Competitive Bidding (ICB) procedures specified in the *World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works, and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers, January 2011, 2014 edition,* and is open to all Bidders eligible as defined in these Guidelines, that meet the following minimum qualification criteria:

(a) The Bidder shall furnish documentary evidence that it meets the following financial requirement(s):

(i) Average Annual Turnover of the Bidder should be not less than US$ 2,000,000.00 (US Dollars two million) or equivalent, for the last 3 (three) (2016, 2015, 2014) years. In case of a Joint Venture, all partners combined must meet requirement, with at least each partner meeting at least 40% of required turnover.

(ii) Demonstrated access to at least US$ 450,000.00 (US Dollars four hundred fifty thousand) or equivalent, in liquid assets (e.g., bank balances, tradable securities, active lines of credit).

(b) Technical requirement(s):

(i) The Bidder should have supplied, installed, configured and commissioned at least one Intelligent Transport System (ITS) of similar nature and complexity, with at least 100km length, within last 3 (three) years. Documentary evidence on successful completion of the ITS is mandatory;

(ii) At least 5 years of working experience of ITS installation. Documental evidence shall contain the list of these contracts, information, related to the ITS and experience in successful implementation of projects. The list also shall contain contact information of the Purchasers (phone numbers, faxes, addresses, electronic mails, postal addresses).

5. A pre-bid meeting which potential bidders may attend will be held on **Thursday, February 22, 2018, at 15:00 of local time.**

6. A complete set of bidding documents in English language may be requested by interested Bidders on submission of a written application to the address below.

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. Bids must be delivered to the address below at or before **March 22, 2018, at 15:00 of local time.** Bids need to be secured by the Bid Security. The amount of **Bid Security** required is **US$ 17,500.00 (Seventeen Thousand five hundred US Dollars).** Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the address below at, **March 22, 2018, at 15:15 of local time.**

8. The attention of prospective Bidders is drawn to (i) the fact that they will be required to certify in their bids that all software is either covered by a valid license or was produced by the Bidder and (ii) that violations are considered fraud, which can result in ineligibility to be awarded World Bank-financed contracts.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia.
12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160 Georgia
Tel/Fax: (+995 322) 37-05-08
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge
Attn.: Mr. Giorgi Seturidze, Chairman of Roads Department of Georgia

ილჰამ ალიევი პრეზიდენტობის კანდიდატი

ილჰამ ალიევი პრეზიდენტობის კანდიდატად აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერმა დაასახელა. მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ალი ახმედოვმა განაცხადა, რომ პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება მოქმედი პრეზიდენტი.

არჩევნები აზერბაიჯანში 17 ოქტომბერს არის დაგეგმილი. 2016 წლის სექტემბერში კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, აზერბაიჯანის პრეზიდენტს შვიდი წლის ვადით ირჩევენ.

აღმოაჩინეს უძველესი სამარხები

მეხიკოს სამხრეთ ნაწილში არქეოლოგებმა უძველესი სამარხები აღმოაჩინეს. ათობით ნეშტიდან ჯერჯერობით მხოლოდ ათის სქესისა და ასაკის იდენტიფიცირება მოხდა. სამარხები, რომელშიც საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნივთებიც იპოვეს, 2 400 წლის წინანდელია. არქეოლოგების აზრით, არტეფაქტების შესწავლა კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მისცემს მათ ზაკატენკოსა და ტიკომანის ეპოქაზე.

პოლონეთის ჰოლოკოსტში მონაწილეობაში დადანაშაულება კანონით დასჯადი ხდება

აშშ-ისა და ისრაელისგან გაფრთხილების მიუხედავად, პოლონეთის სენატმა მხარი დაუჭირა სადავო კანონპროექტს, რომელიც დასჯად ქმედებად აცხადებს იმის მტკიცებას, რომ ჰოლოკოსტში პოლონელებიც მონაწილეობდნენ. კერძოდ, ჯარიმით, ან სამ წლამდე პატიმრობით დაისჯება ყველა, ვინც გერმანელი ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებს უწოდებს „პოლონურ სიკვდილის ბანაკებს", ან პოლონეთს ბრალად დასდებს ნაცისტების მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობას. ძალაში შესვლამდე, დღეს მიღებულ კანონპროექტს პოლონეთის პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი. მანამდე, აშშ-მა და ისრაელმა პოლონეთს მოუწოდეს უარი ეთქვა ამ კანონის მიღებაზე. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის ჰიზერ ნოიერტის განცხადებით, საჭიროა სიფრთხილე, რათა ჰოლოკოსტზე მსჯელობას ხელი არ შეეშალოს.

აშშ-ის პოზიციაა, რომ კანონპროექტის მიღებამ შეესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს სტრატეგიული ინტერესები და პოლონეთის ურთიერთობები აშშ-თან და ისრაელთან. პოლონეთის გადაწყვეტილებას დაუსაბუთებელი უწოდა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

საქმე №1/03-2018

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 29 იანვარი 2018 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ირაკლი ჭაჭია**

დავის საგანი: **აღსრულების წესის შეცვლა**

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა განცხადებისა და თანდართული მასალების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კტ“-ს მიერ 2018 წლის 10 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს "ნოვა კრედიტი"-ს განცხადება აღსრულების წესის შეცვლის შესახებ ირაკლი ჭაჭიას მიმართ.

განმცხადებლის განმარტებით:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კტ"-ს მიერ 2014 წლის 8 აგვისტოს №1/77-2014 საქმეზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ირაკლი ჭაჭიას მისო შპს „ნოვა კრედიტი"-ს სასარგებლოდ დაეკისრა სესხის თანხის გადახდა გირავნობის საგნის რეალიზაციით. კრედიტორმა შპს „ნოვა კრედიტმა" მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს იძულებით აღსრულებაზე, ამ უკანასკნელმა ვერ მოახდინა გირავნობის საგნის რეალიაზცია ხელშეკრულებაში გირავნობის საგნის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებში უზუსტობის გამო.

განმცხადებელმა მოითხოვა აღსრულების წესის შეცვლა.

განცხადება თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო გზავნილი ირაკლი ჭაჭიას ორჯერ გაეგზავნა რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა, ადრესატი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს, ირაკლი ჭაჭიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და საარბიტრაჟო განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ ირაკლი ჭაჭია რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით ირაკლი ჭაჭიას (პირადი №58001002167) ეცნობოს, რომ შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს განცხადება აღსრულების წესის შეცვლის შესახებ.

2. ირაკლი ჭაჭიას განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კტ"-ს დებულებიდან.

3. ირაკლი ჭაჭიას ეცნობოს, რომ შპს "ნოვა კრედიტი"-ს აღსრულების წესის შეცვლის შესახებ განცხადების განხილვა მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე 2018 წლის 26 თებერვალს შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11.

4. ირაკლი ჭაჭიას განემარტოს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

5. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

6. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

მასწავლებლებს ხელფასი ეზრდებათ!

პირველი თებერვლიდან მასწავლებლების ნაწილს ხელფასი გაეზრდება.

კერძოდ, წამყვანი მასწავლებელი სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში 700 ლარს აიღებს, ხოლო მენტორი 1 000 ლარს აიღებს.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ცვლილებებამდე წამყვანი მასწავლებლის დანამატი 500, ხოლო მენტორის 700 ლარი იყო.

სამინისტროს მიერ მომზადებული სქემა პედაგოგებს საშუალებას აძლევს, კატეგორიაში დაწინაურდნენ და შესაბამისად უფრო მეტი ანაზღაურებაც მიიღონ.

◎ ჟამი შენებისა

ამერ-იმერს დაამშვენებს

კულტურისა **და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან კობიაშვილთან, ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებთან და ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელმძღვანელ ზაზა დოლიძესთან ერთად ქუთაისში ფეხბურთისა და რაგბის ახალი ბაზების მშენებლობა მოინახულა.**

ისინი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შეემატება ქვეყანას.

ახალი სპორტული ინფრასტრუქტურული პროგრამის განხორციელება სახელმწიფოს მხარდაჭერით 2017 წლიდან დაიწყო, რომლის თანახმად თბილისსა და ქუთაისში სულ საერთაშორისო სტანდარტების 10 მოედანი უნდა აშენდეს.

ქუთაისის ახალ სპორტულ ბაზებზე ფეხბურთისა და რაგბის 2 ბუნებრივსაფარიანი და 1 ხელოვნურსაფარიანი მოედანი მოეწყობა რამდენიმე ასეულ მაყურებელზე გათვლილი მცირე ტრიბუნებით. ახალი სპორტული მოედნების მშენებელობა უახლოეს მომავალში დასრულდება.

შალვა გოგოლაძე (კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე): „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 2017 წელს თბილისსა და ქუთაისში 10 სტადიონის მშენებლობა დავიწყეთ. ახალი ბაზები ექსპლოატაციაში უახლოეს პერიოდში შევა: 7 თბილისში მოეწყობა, 3 კი – ქუთაისში.

ამჯერად იმერეთში ვიმყოფებით და სამშენებლო პროცესს ვათვალიერებთ. ეს მოედნები მოემსახურება როგორც ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს, ასევე სხვადასხვა გუნდებს როგორც სათამაშო, ასევე საწვრთნელი პროცესების გასავლელად ფეხბურთსა და რაგბიში.

აღსანიშნავია ისიც, რომ უახლოეს მომავალში ახალი სპორტის სასახლეების გახსნა იგეგმება ბათუმში, გორსა და თელავში.“

ლევან კობიაშვილი (ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): „გავეცანით ქუთაისში მიმდინარე სამუშაოებს. ჯერჯერობით ყველაფერი იდეალურად მიმდინარეობს და ძალიან მალე დასრულდება კიდეც ახალი მოედნების მშენებლობა.

მსურს ხაზი გავუსვა ამ პროექტის მნიშვნელობას და დიდი მადლობა გადავუხადო როგორც ჩვენს მთავრობას, ასევე სპორტის ყოფილ მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილს, რომლის წვლილი ძალიან დიდია ამ პროექტის განხორციელებაში. ახალი ინფრასტრუქტურა ქართულ ფეხბურთს ძალიან სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოედნებზე არაერთი ნიჭიერი და წარმატებული ქართველი ფეხბურთელი გაიზრდება“.

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მიმდინარე წლის მარტში ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ლიტვასთან 24 მარტს დაგეგმილი მატჩის შემდეგ ვლადიმირ ვაისის გუნდი 27 მარტს ესტონეთის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს. ორივე სპარინგი უეფას ერთა ლიგის გათამაშების მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში საქართველოში მოეწყობა.

ესტონეთი C ლიგის მეორე ჯგუფში უნგრეთის, საბერძნეთისა და ფინეთის ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს, ხოლო საქართველოს ნაკრები D ლიგის პირველ ჯგუფში ლატვიას, ყაზახეთსა და ანდორას დაუპირისპირდება.

უეფას ერთა ლიგის გათამაშება 2018 წლის სექტემბერში იწყება.

* * *

ინგლისის ჩემპიონატის 25-ე ტურში „ტოტენჰემის“ დანიელმა შემტევმა კრისტიან ერიქსენმა „მანჩესტერის“ კარი მე-11 წამზე დალაშქრა. როგორც სტატისტიკოსებმა გაარკვიეს, ეს ყველაზე სწრაფი გაშვებული გოლია „წითელი ეშმაკების“ კარში პრემიერლიგის ეგიდით.

თუმცა, ბრიტანელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მთავარ მსაჯს გოლი არ უნდა ჩაეთვალა, რადგან სანამ „ტოტენჰემი“ ბურთს თამაშში შეიყვანდა, ჰარი კეინი მეტოქის ნახევარზე იყო და მეტიც, კარისკენ მიემართებოდა.

შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემმა“ „მანჩესტერი“ ერიქსენისა და ფილ ჯონსის ავტოგოლით 2:0 დაამარცხა.

* * *

იტალიის ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი“ სერიოზული საკადრო პრობლემების წინაშე დადგა. როგორც „ბებერი ქალბატონის“ ვებ-გვერდი იტყობინება, „ატალანტასთან“ სათასო მატჩში დუგლას კოშტა და ფედერიკო ბერნარდესკი დაშავდნენ.

ბრაზილიელ შემტევს სერიოზული დაზიანება არ აღენიშნება და, სავარაუდოდ, ერთი მატჩი გაუცდება, მაგრამ ბერნარდესკის უქმობა 2-3 კვირით მოუწევს. ეს ნიშნავს, რომ „იუვე“ მას „ტოტენჰემთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვეღარ დაიხმარს.

საგულისხმოა ისიც, რომ ტურინელებს მოახლოებულ მნიშვნელოვან შეხვედრაში ორი წამყვანი შემტევი – პაულო დიბალა და ხუან კუადრადოც ვერ დაეხმარებათ. შესაბამისად, მასიმილიანო ალეგრის განკარგულებაში ახლა სულ რაღაც ორი ჯანმრთელი მოიერიშეა – გონსალო იგუაინი და მარიო მანჯუკიჩი.

აქვე გეტყვით, რომ „იუვენტუსი“ ბოლო დროს ჩინებულ კონდიციაშია – უკანასკნელი 14 მატჩი არ წაუგია და გოლი ერთადერთხელ გაუშვა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ევროლიგაში დე კოლო გამოარჩიეს

ევროლიგის იანვრის თვის საუკეთესო მოთამაშედ ცსკა-ს უკანახაზელი ნანდო დე კოლო აღიარეს.

აღნიშნულ პერიოდში ცსკა-მ ხუთიდან ოთხი მატჩი მოიგო, ფრანგი კი საშუალოდ ერთ შეხვედრაში 18.4 ქულას, 4 პასს, 3 მოხსნას და 1.5 ჩაჭრას აგროვებდა. ნანდოს მარგი ქმედების კოეფიციენტი 23 გახლდათ.

დე კოლო ევროლიგის თვის საუკეთესო მოთამაშე მესამედ გახდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ოპტიმისტი არაუხო

ტელესერიალების მსახიობი და ცნობილი ტელეწამყვანი ანა-პაულა არაუხო რისი ბრაზილიელი იქნებოდა, ფეხბურთი ნამეტნავად რომ არ უყვარდეს, მაგრამ გარდა სიყვარულისა, ამ ქალს პროგნოზების გამოთქმაც იზიდავს და აკი აცხადებს კიდეც – რუსეთში ბრაზილია აუცილებლად იპირველებსო...

„ბრაზილიის ამჟამინდელი ნაკრები მსოფლიოში უდავოდ საუკეთესო გუნდია და დარწმუნებული ვარ, წელს სწორედ ჩვენი გუნდი გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. წინა მუნდიალზე მე არ მქონდა ჩემპიონობის იმედი და, სამწუხაროდ, გამართლდა კიდეც ჩემი პროგნოზები, მაგრამ ახლა წარმატების მჯერა“ – ამბობს არაუხო, რომელიც შესაძლებელია თავადაც ჩავიდეს რუსეთშითანამემამულეთა საქომაგოდ.

ანა-პაულა არაუხო ერთ დროს მოდელიც გახლდათ და ნიფხვისამარაც კოხტად პოზირებდა ფოტოკამერის წინ, მაგრამ ახლა ჟურნალისტისა და ტელეწამყვანის კარიერაც აკმაყოფილებს და როგორც ხედავთ, ფეხბურთის შესახებ აზრსაც კი ეკითხებიან. რამდენად სარწმუნოა ამ ქალბატონის პროგნოზები - ამას წელს ზაფხულში გავიგებთ.

როსტომ რაჭველიშვილი

ეპიტაფია

პროფესორი იგორ სვანიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება, ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო საბჭო და მთელი კოლექტივი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ საქართველოს და საერთაშორისო ნეირობიოლოგიის დარგის მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მიმდინარე წლის 30 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ნეირომორფოლოგიის ლაბორატორიის დამფუძნებელი და მისი ხელმძღვანელი მრავალი წლების განმავლობაში, ღირსების ორდენის კავალერი **იგორ სვანიძე**.

პროფესორი ი.სვანიძე (დაბადებული 1926 წელს) იყო საქართველოში ნეიროჰისტოქიმიის დარგში ერთ-ერთი პირველი მკვლევარი. მან საქართველოში პირველმა დაიწყო ნერვული ქსოვილის კულტივირება და მისი მრავალმხრივი შესწავლა.

ი. სვანიძე ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის ორი მონოგრაფიის და ორი სახელმძღვანელოსი. მისი მეცნიერული მოღვაწეობა მოიცავდა თანამედროვე ნეირობიოლოგიის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ცენტრალური ნერვული სისტემის უჯრედების დიფერენცირებისა და რეპარაციის თავისებურებები ონტოგენეზის და სხვადასხვა დარღვევების დროს; ნერვული ქსოვილის ორგანულ და დისოცირებულ კულტურებში უჯრედშორისი კონტაქტების მნიშვნელობა ცილის სინთეზის პროცესში; რიგი ფარმაკოლოგიური და ფიზიკური ფაქტორების მასტიმულირებელი ზემოქმედება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების შემდეგ მიმდინარე აღდგენით პროცესებში; ემბრიონული ალკოჰოლური სინდრომის ჩამოყალიბების მორფო-ფუნქციური მახასიათებლები და ნეიროგენეზის დარღვევის კორექცია ალკოჰოლითა და ტოლუოლით ინტოქსიკაციის პირობებში და სხვ.

გარდა ფუნდამენტალური ხასიათის კვლევებისა, პროფესორი ი. სვანიძე დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე კლინიკური პრაქტიკისათვის დიდი მნიშვნელობის კვლევებსაც. ასე მაგალითად, წლების განმავლობაში იგი პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის ცენტრის მეცნიერებთან ერთობლივად ეწეოდა კლინიკური პრაქტიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვან კვლევებს — ცენტრალური ნერვული უჯრედების ცვლილებები ჟანაგბადის მწვავე უკმარისობის პირობებში და ამ მიმართებით მრავალი ყურადსაღები შედეგები იქნა მის მიერ მიღებული.

პროფესორი სვანიძე იყო მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებების აქტიური წევრი, მათ შორის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება (IBRO), ევროპის ნეირომეცნიერთა საზოგადოებათა ფედერაცია (FENS), იყო ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში. 1993 წელს მის მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისათვის გადაეცა სოროსის ფონდის მიერ დაწესებული სამეცნიერო პრემია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში პროფესორი ი. სვანიძე ეწეოდა ფრიად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, თითქმის 40 წლის განმავლობაში იყო თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტანტობით შესრულდა და წარმატებით იქნა დაცული 11 საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია.

საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ და დამსახურებულ უკვე მხცოვან მეცნიერს, პროფესორ ი. სვანიძეს სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ შეუწყვეტია თავისი ჩვეული რეჟიმით უაღრესად ინტენსიური კვლევითი მუშაობა ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში. იგი კვლავ სავსე იყო ახალი საინტერესო იდეებით და აყალიბებდა ჩასატარებელი კვლევების გეგმებს.

ყველაფერთან ერთად პროფესორი ი. სვანიძე წარმოადგენდა მრავალმხრივად ერუდირებულ, იუმორით აღსავსე, უაღრესად პატიოსან და პრინციპულ პიროვნებას, რომელსაც ყველა, ვისთანაც მას ჰქონდა მეცნიერული თუ სუფთა ადამიანური კონტაქტი, მიიჩნევდა მას ნამდვილი ინტელიგენტის ეტალონად.

პროფესორ იგორ სვანიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი კოლეგებისა და მრავალი მეგობრის გულში.

სანთელი

მეუღლე მაგული, შვილი ნათია, შვილიშვილები თათია, ნუცა, სიძე ბექა კოჩუაშვილი, ძმები ჰამლეტი, იური, რძლები ნინო წულუკიძე, მადონა გოლიაძე ოჯახებით იუწყებიან

როლანდ
გრიგოლის ძე ლაგვილავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 II, გამოსვენება 4 II, 14 საათზე. მისამართი ფალიაშვილის ქ. №36ა.

მურიკო თოფურიძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის ღირსეული პიროვნების

როლანდ ლაგვილავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

უახლოესი მეგობრები დარეჯან საბაშვილი, ნაპოლეონ ქარქაშაძე, გურამ ალექსიძე, ჯიმი მინდელი, გივი ჯაფარიძე, არჩილ ვაშაკიძე, ელგუჯა შაფაქიძე, ჯემალ კაციტაძე, ალექსანდრე დიდებულიძე, ნოდარ ცინცაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი ადამიანის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბატონ

ჯუდი გეწაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იუწყება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილი პრორექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ჯუდი გეწაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდელი გარემოვაჭრეები უკან არ იხევენ!

ზუგდიდის მერიის წინ გარემოვაჭრეების აქციაზე ორი ადამიანი დაშავდა. ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ერთ დაშავებულს ადგილზევე გაუწია დახმარება, ხოლო მეორე ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. არსებული ინფორმაციით, ქალბატონს ფეხი აქვს მოტეხილი.

აქციის მონაწილეები გუშინ მერიაში შეჭრას ცდილობდნენ, რისი საშუალებაც მათ სამართალდამცველებმა არ მისცეს...

◎ მთავარია ფული და არა ადამიანი!

სიკვდილის სათამაშო, ანუ ტყლარწი

ბოლო ხანს მსოფლიოსა და საქართველოში ერთობ პოპულარული წელვადი ჟელე მომწამვლელი აღმოჩნდა. ბრიტანეთში აგორებულმა სკანდალმა საქართველოშიც მალე ჩამოაღწია. მომაკვდინებელი სათამაშო, რომელიც ბოლო დასკვნის მიხედვით მომწამვლელი ნივთიერების დასაშვებზე 29-ჯერ მეტ დოზას შეიცავს - თბილისის მაღაზიებიდან უკვე ამოღებულია.

კვლევებით დადგინდა, რომ მაგნიტური ჟელე ე.წ. ტყლარწი სიცოცხლისთვის საშიშია და მისი მცირე რაოდენობით ორგანიზმში მოხვედრა ჯერ მწვავე ინტოქსიკაციას, გართულების შემთხვევაში კი სიკვდილს იწვევს.

დღეს ბაზარზე სათამაშო ჟელეს რამდენიმე სახეობა იყიდება (იყიდებოდა). სპეციალისტებმა საეჭვოდ მიიჩნიეს, წელვადი მასა, რომლის შემადგენლობაშიც რკინის ნაწილაკები შედის. ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს ნივთიერება დარიშხანის სახიფათო დოზას შეიცავდა.

ბავშვებისთვის განკუთვნილი მაგნიტური ტყლარწი, ბრიტანეთში გაყიდვიდან ამოიღეს. პროდუქტში დარიშხანის შემცველი ნივთიერება ნორმას შვიდჯერ აღემატება. ექსპერტები შიშობენ, რომ ბავშვი იმ შემთხვევაშიც მოიწამლება, თუ წელვად მასას ხელით შეეხება. მაგნიტი კი 29-ჯერ აღემატება დაშვებულ მაგნიტურ ძალას, ამასთან პროდუქტში შემავალი ტყვია ორჯერ აღემატება დასაშვებ ოდენობას.

წელვადი ჟელე — ტყლარწი, არა მარტო პატარა ბავშვებში, არამედ მოზარდებშიც საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს. ფერადმა სათამაშომ სრულიად მსოფლიო დაიპყრო, მათ შორის საქართველოც.

მშობლების ნაწილი ბავშვებისთვის ტყლარწის ყიდვას მისი ქიმიური შემადგენლობის გამო ერიდება. საქართველოში ამ პროდუქტის ხარისხის კონტროლი არ ხდება და ვერავინ იტყვის რამდენად მავნეა ესა თუ ის კონკრეტული პროდუქტი. თუმცა ცნობილია, რომ მის შემადგენლობაში ქიმიური ელემენტი — ბორაქსის ფხვნილია.

საერთოდ, ქართულ ბაზარზე არსებული ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების შემცველი სათამაშოების რეალიზაციის შეჩერების მაქსიმალური ვადა, ევროდირექტივების მიხედვით, 2019 წელია. ეკონომიკის სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში ტექნიკური სსიპ სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს მიეცემა უფლება, გლობალური დირექტივებით განსაზღვრული რისკის შემცველი პროდუქტების გაყიდვები შეაჩეროს, ბაზრიდან პროდუქტი ამოიღოს ან მომხმარებლებისგან გამოითხოვოს.

სათამშოების ბაზარზე სავალალო მდგომარეობაა. 2017 წლის მარტში სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ საქართველოს ბაზარზე არსებული სათამაშოები არასრულწლოვანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევით გაირკვა, რომ საქართველოში შეძენილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერებაა.

საქართველოში საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება არ მოწმდება. გონებრივი და ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენა, ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, ინტოქსიკაცია, ალერგია — ეს არის შედეგები, რომლებიც უხარისხო სათამაშომ შეიძლება გამოიწვიოს. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ბაზარზე არსებული პროდუქციის ზედამხედველობის ორგანოს შექმნის ვალდებულება აიღო, თუმცა ეს მოთხოვნა ჯერაც არ შესრულებულა.

ტყვია, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ნიკელი — იმ ნივთიერებების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ელიმინაციის გლობალურმა ქსელმა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სათამაშოების უსაფრთხოების შემოწმებისას აღმოაჩინა.

მიუხედავად ბოლო პერიოდში არაერთი საფრთხის დადასტურებისა, საეჭვო სათამაშოების შეძენას მშობლების დიდი ნაწილი ეკონომიური მდგომარეობით ამართლებს. ისინი ამბობენ, რომ ბავშვებს გასართობის გარეშე ვერ დატოვებენ და რადგან არა აქვთ საშუალება, ძვირად ღირებული და ჯანსაღი სათამაშო უყიდონ, იაფს სჯერდებიან.

ბექა დანელია

უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო მონეტა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო მონეტა გამოუშვა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ, უნივერსიტეტის რექტორ გიორგი შარვაშიძესთან და მონეტის დიზაინერ ნინო გონგაძესთან ერთად საზოგადოებას მონეტა წარუდგინა.

„ეროვნული ბანკისთვის ნამდვილად საამაყო იყო ამ პროექტზე მუშაობა. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი პირველი უმაღლესი სასწავლებელი იყო მთელ ამიერკავკასიაში და მის დამაარსებელ ივანე ჯავახიშვილთან ერთად, ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ იყო განათლების, პროგრესისა და ევროპული ღირებულებების სიმბოლო. საქართველოს ეროვნული ბანკი ულოცავს უნივერსიტეტს 100 წლის იუბილეს და ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად 5 ლარის ნომინალის ვერცხლის საკოლექციო დანიშნულების მონეტას უძღვნის", — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

მონეტის დიზაინის ავტორი: **ნინო გონგაძე**

◎ ჯანმრთელობა

ზურგით დაჭერილი ქარი

გრძნობთ, რომ ავად ხდებით? თუ ასეა, წამლების დალევის მაგივრად, შეგიძლიათ, აღმოსავლური მედიცინის რამდენიმე მარტივ ხერხს მიმართოთ.

გაციების დაავადებებს ზედა სასუნთქი გზების სნეულებები განეკუთვნება, რომლებსაც მაღალი ტემპერატურა, ხველება და სურდო ახლავს. ბევრი გაციებას მსუბუქ და უწყინარ ავადმყოფობად მიიჩნევს, რომელიც რამდენიმე დღეში გაივლის. მაგრამ ეს მცდარი აზრია, რასაც არასათანადო მკურნალობის შედეგად შესაძლოა, გართულებები მოჰყვეს.

ჩინური მედიცინის თვალსაზრისით, გაციებას ორი ფაქტორი — **სიცივე** და **ქარი** იწვევს. ამიტომაცაა, რომ გაციებულ კაცზე ჩინელები ამბობენ „ზურგით ქარი დაიჭირაო".



თუკი გაციება ეს-ესაა იწყება, მაშინ შველა ოფლის მომდენი საშუალებებით შეიძლება. მაგალითად, **ხველების დაწყებისთანავე მეტად ეფექტიანია რძე კოჭათი და დარიჩინით:** აიღეთ ერთი ჩაის კოვზი კოჭა, ნახევარი ჩაის კოვზი დაფქვილი დარიჩინი, დაასხით ერთ ჭიქა ცხელი რძე და ცოტა ხანი დაყენება აცადეთ. თაფლის დამატება საჭიროა არანაკლებ 60 გრადუსის ტემპერატურის სითხეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სამკურნალო თვისებებს კარგავს. ამიტომ ოდნავ შეგრილებულ „კოქტეილს" 3-4 ჩაის კოვზი თაფლი დაამატეთ და დალიეთ. **ამ სამკურნალო სასმლის მიღების შემდეგ ქუჩაში გასვლა სასტიკად აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი გაცილებით სავალალო იქნება.**

თუკი გაციებთ და გრძნობთ, რომ ავად ხდებით, არის კიდევ ერთი დიდებული რეცეპტი, რომელსაც ტიბეტში „ლამის წვნიანს" უწოდებენ. ესაა ცხვრის ხორცის ბულიონი, რომელიც ცხიმიანი უნდა იყოს და ძვლებისგან მოიხარშოს. ისინი უნდა დაკეპოთ, პატარა ქვაბში მოათავსოთ და იმდენი წყალი დაასხათ, რომ ერთი თითის სიმაღლეზე ფარავდეს, შემდეგ კი 1,5 საათი ადუღოთ. ბულიონს შეგიძლიათ მხოლოდ მარილი, ხახვი და შავი პილპილი დაუმატოთ საკუთარი გემოსდამიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ უქნათ კარტოფილი ან მაკარონი, რადგან მაშინ ეს უბრალოდ წვნიანი და არა სამკურნალო საშუალება იქნება. ბულიონი ცხელი უნდა დალიოთ.

წერტილოვან მასაჟს ჩინელები 5000 წელზე მეტი ხანია, იყენებენ, რომელიც არა მარტო ბევრ სნეულებას შველის, არამედ ორგანიზმის გაჯანსაღების საუცხოო ხერხია. გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს, რომლებიც იმუნიტეტის გამაგრებაში დაგეხმარებათ.

1. წერტილი იუნ მენი — „ღრუბლიანი კარიბჭე".

ადგილმდებარეობა: ჩაღრმავება ლავიწის ძვლებქვეშ, გულმკერდის ზევით.

მოქმედება: ამაგრებს იმუნიტეტს, ანიავებს ფილტვებს, შველის ასთმისა და ხველების დროს.

2. წერტილი ციუ ჩი — „რკალისებური ტბორი"

ადგილმდებარეობა: იდაყვის ღრმულის ზედა ნაწილში.

მოქმედება: ამაგრებს იმუნიტეტს, შველის ციების, კუჭის შეკვრისა და იდაყვის სახსრების ტკივილის დროს.

3. წერტილი ჰე გუ — „დახურული ველი"

ადგილმდებარეობა: საჩვენებელ და დიდ თითს შორის, კუნთის ზედა მხარეს, რომელიც მათი შეერთების წერტილშია.

მოქმედება: შველის ართრიტის, კუჭის შეკრულობის, თავისა და კბილის ტკივილის დროს. ამ წერტილის გამოყენება კატეგორიულად ეკრძალებათ ფეხმძიმე ქალებს, ვინაიდან მის მასაჟს დროზე ადრე მშობიარობის გამოწვევა შეუძლია.

4. ძუ სან ლი — „ასი სნეულების" წერტილი.

ადგილმდებარეობა: მუხლს ქვევით ოთხ თითზე და ერთი თითის სიგრძეზე წვივის ძვლიდან გარეთ. თუკი წერტილი ზუსტადაა მიგნებული, მაშინ ტერფის ზევით-ქვევით მოძრაობის დროს კუნთის შეკუმშვას იგრძნობთ.

მოქმედება: ერთიანად აძლიერებს ორგანიზმს, განსაკუთრებით მის იმუნურ სისტემას, ხსნის დაღლილობას, ამაღლებს კუნთების ტონუსს.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

გაფრთხილება

ბაზარში ხილის დახლის მფლობელმა ცოლი გააფრთხილა:

— დაიხსომე, დღეს კალინოვსკებისგან არცრა ბოსტნეული არ იყიდო.

— რატომ? — გაიკვირვა ცოლმა.

— იმიტომ, რომ ჩვენი სასწორი ითხოვეს.

ტაში

მესაფლავე გვიან ღამით ბრუნდება შინ.

— ცოტა ადრე რომ მოსულიყავი რა, არ შეიძლებოდა? — ეძგერა ცოლი.

— არ შემეძლო. ცნობილ მსახიობს მარხავდნენ. ძალიან ბევრი ხალხი იყო, ბევრი გამოვიდა სიტყვით, ზღვა ცრემლი დაიღვარა. განსვენებულის საფლავში ჩასვენება რომ დაიწყეს, ისეთი ტაში დასცხეს სულ ცოტა, რვაჯერ მაინც მომიხდა მიწის წაყრა და ამოყრა.

წინდახედულობა

სამშენებლო მოედანზე, სადაც მრავალსართულიანი სახლის ჩონჩხია აღმართული, პატარა ბიჭი დარბის და სათამაშო ბუკს ახმიანებს.

გვერდით ჩავლილმა ინჟინერმა საქციელი დაუწუნა.

— შეეშვი მაგ ბუკს, ბიჭუნი, იქ არ შეიძლება ბუკის გახმიანება.

— რატომ?

— შენ რა, არ იცი, რა მოუვიდა იერიქონს, იქვე ახლოს ბუკს რომ ახმიანებდნენ.

ინსტრუქციის თანახმად

სასამართლოს სხდომაზე პროკურორი მკვლელს ეკითხება:

— ბრალდებულო, აგვიხსენით, სანამ ზარდახშას გახსნიდით, რატომ მოკალით ყრუ დედაბერი, რომელსაც მეორე ოთახში ეძინა?

— რატომ, ბატონო, და ზარდახშას ეწერა: „გახსენით, მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგო".

განაჩენი

სასამართლომ სამოცდათხუთმეტი წლის ბანდიტს 15 წელი ციხე მიუსაჯა.

— სამწუხაროდ, ვერაფერი სასიკეთო ვერ მოგიხერხე დასაცავად, — უთხრა დამცველმა თავის კლიენტს. განაჩენის გამოცხადების შემდეგ.

— მე ძალიანაც კმაყოფილი ვარ.

— კმაყოფილი ხარ? — გაიკვირვა დამცველმა — რატომ?

— ვერც წარმომედგინა, თუ 90 წლამდე ვიცოცხლებდი.

ახლა სხვა დროებაა

მამა ანგარიშობს, რა უჯდება უნივერსიტეტში შვილის სწავლა.

— შენხელა რომ ვიყავი, — ეუბნება შვილს, — მამაჩემს ერთი კაპიკიც არ ვუჯდებოდი. მე უკვე ვმუშაობდი ლონდონში სმარტის ფირმაში. თანაც ისე მარჯვედ ვმუშაობდი, რომ ექვს წელიწადში მთელი მაღაზია უკვე მე მეკუთვნოდა.

გამოიწერეთ ან ოჯველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა" და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4962; ევრო - 3.1073;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5296;
100 რუბლი - 4.4384; თურქული ლირა - 0.6644;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4688;
1000 სომხური დრამი - 5.1896.

ამინდი 2 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -8, დღე +8
მთიანი რაიონები - ღამე -15, დღე +4
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -4, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე -10, დღე +9
თბილისი: ღამე -3, დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge